

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguga Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenashvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsauri**

ტექსტი  
გიორგი ფრანგიშვილი

TEXT  
**Giorgi Prangishvili**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქტორი  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზალ წერაფარძე, ინგა ალავიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
ალექსანდრე კოტორაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი,  
მალხაზ დათიკაშვილი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Aleksandre Kotorashvili, Avtandil Gurasashvili,  
Malkhaz Datikashvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორი  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს ფარიკაბის ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Fencing Federation**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

# 3ლადიგერ აფციაური

2012

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია  
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



## ყველაზე სწრაფი

1978 წლის შემოდგომაზე თბილისი ახალგაზრდა მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატს მასპინძლობდა. ეს შეჯიბრება წინ უძლოდა მსოფლიოს ჩემპიონატს და ნაკრების კანდიდატთა ძირითად შესარჩევ ტურნირად ითვლებოდა. ამას გარდა, ახლოვდებოდა მოსკოვის ოლიმპიური თამაშები და გამორიცხული არ იყო, ქვეყნის მთავარი ნაკრების მწვრთნელებს 20 წლის მოფარიკავეთა შორის მომავალი ოლიმპიელი ეპოვათ.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართველ მოფარიკავეებს არაერთხელ მოუგიათ მსგავსი ტურნირი, მაგრამ მერე და მერე წარმატებებმა იკავონ. ქართველ სპეციალისტებს ამჯერადაც არ ჰქონიათ დიდი მოლოდინი, რადგანაც თბილისში საასპარეზოდ არაერთი ტიტულიანი მუშკეტერი ჩამოვიდა. მაგალითად, მინსკელი ვლადიმირ ლაპიცკი და ბაქოელი ბორის კორეცკი რაპირაში უკვე ფლობდნენ ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლებს. 17 წლის ვლადიმერ აფციაური მათთან შედარებით არაფრით გამოიჩინდა, მეტოქეებზე ორი-სამი წლით უმცროსი იყო და საკმაოდ ტანმორჩილიც. მაგრამ ფავორიტებს მედგარი ბრძოლა სწორედ აფციაურმა გაუმართა. ფინალური შეხვედრების წინ ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონია მოეწყო. მაშინდელი პიონერთა სასახლის მოსწავლეებმა ქართული ცეკვები წარმოადგინეს. აფციაურზე, როგორც შემდგომ იხსენებდა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მთიულურმა ცეკვამ მოახდინა და ემოციურად ისე დაიმუხტა, ფინალში განსაკუთრებული შემართებით იბრძოლა: ორმეტრიან უკრაინელ დუხანს სიცილ-სიცილით მოუგო (თურმე, მწვრთნელები გაუბრაზდნენ — ჯერ ბრძოლა დაამთავრე და სიცილს მერეც მოასწრებო), მერე ბელორუს ასაჩისაც აჯობა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. აფციაურის გამარჯვებამ ქართველ მწვრთნელებზე მეტად მოსკოველები გააკვირვა. მანამდე უცნობი ჭაბუკი მოფარიკავე ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა სიაში აღმოჩნდა. მართალია, მომდევნო წელს მსოფლიოს ახალგაზრდულ





ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, მაგრამ 1980-82 წლებში ზედიზედ სამჯერ იასპარეზა ამ ტურნირში და სოლიდური გამოცდილება შეიძინა. ყველაზე უკეთ ბოლო ჩემპიონატზე, ბუენოს-აირესში გამოვიდა — მეოთხე ადგილი დაიკავა.

ვლადიმერ აფციაური: „ფარიკაობაზე, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოვხვდი. თეთრიწყაროში, ახალსოფელში ვიზრდებოდი. ჩვეულებრივი ცელქი ბავშვი ვიყავი. თამაშისას რა არ მომსვლია: ხელი მომიტებია, წარბი გამხეთქია, ხიდან ჩამოვარდნილვარ. დიდი სანათესაო გვყავდა, ზაფხულობით ტოლ-ბიჭები ერთად შევიკრიბებოდით და მთელი დღე ბურთს დავსდევდით, ხეებზე ვცოცავდით, თვითნაკეთი ხის ხმლებით ვფარიკაობდით. ყოველთვის პირველობას ვესწრაფოდი, ჩემთვის სხვა შედეგი მიუღებელი იყო. ეტყობა, ჩემმა მთიელობამ თავისი ქნა და ფარიკაობისკენ გადამძალა... 1973 წელს, მეხუთე კლასში რომ გადავედი, მშობლებმა მე და ჩემი უფროსი ძმა გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში მიგვიყვანეს. ორივეს ტანვარჯიში გვინდოდა, მაგრამ ძმა ასაკის გამო დაიწუნეს, მე კი, რადგან ტანვარჯიშის ჯგუფი შევსებული იყო, დროებით ფარიკაობის სექციაში გამამწესეს. მოგვიანებით, როცა ტანვარჯიშზე გადასვლა შემომთავაზეს, უარი ვუთხარი. ვიგრძენი, რომ ჩემი საქმე ფარიკაობა იყო, თანაც ერთხელ თუ გახვედი საფარიკაო ბილიკზე, მერე იქნიდან გადასვლა ძნელად თუ მოგინდება. მე ასე მომივიდა, გარდა ამისა, მწვრთნელების ხათრიც მქონდა. თავიდან ლიანა შეყრილაძე მავარჯიშებდა, მერე — რევაზ მაჭარაშვილი და სიმონ აჯიმამუდოვი, ბოლოს — მალხაზ გაბუნია. მალხაზი საოცარი პიროვნება იყო, მასთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა მქონდა, თუმცა არასოდეს არ მავინყდებოდა, რომ მე სპორტსმენი ვიყავი, ის კი — მწვრთნელი. ასაკით ბევრად უფროსი არ ყოფილა და ალბათ ამიტომაც დავუახლოვდით ერთმანეთს. ფარიკაობაში ლრმად ჩახედული, დინჯი და განწონასწორებული პიროვნება იყო. მსაჯებს არასოდეს ეკამათებოდა. ამის გამო რამდენიმეჯერ ვუსაყვედურე კიდეც, რადგანაც არაობიერტური მსაჯობის გამო ხშირად ვიჩაგრებოდი. მალხაზი მამშვი-

**დებდა:** ჯობს ახლა მოითმინო, რომ საბოლოოდ გამარჯვებული დარჩეო. ნინდახედული კაცი იყო და მისი ნათქვამის სისწორეში არაერთხელ დავრწმუნებულვარ.“

ვლადიმერ აფციაურს ბუნებრივი ნიჭი და სპორტული ჟინი აღმოაჩნდა. მალე ისე გაიწაფა, რომ არა მარტო ფარიკაობაში, არამედ სხვა სახეობებშიც ჯაბნიდა თანატოლებს. მაგალითად, სიგრძეზე და სიმაღლეში ხტომაში, ტანვარჯიშში, ჭადრაკში. მაგრამ, მისი მთავარი გატაცება, რა თქმა უნდა, ფარიკაობა იყო.

ლუდვიგ ლალანიძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი: „ვლადიმერ აფციაური პირველად გლდანის სკოლა-ინტერნატში ვნახე. ცოცხალი ბავშვი იყო, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. მახსოვს, ბაგირზე ფეხების დაუხმარებლად აცოცდა, ბაგირი კაუჭიდან ჩამოხსნა და თვითონ ჩამოეკიდა კაუჭზე ცალი ხელით. მზროთნელს, ლიანა შეყრილაძეს ფერი ნაუვიდა, ვლადიმერი კი ზემოდან დაგვყურებდა და იცინდა, თან მეორე ხელში ბაგირი ეჭირა... თანდაყოლილი ფიზიკური სიძლიერე, სიმარჯვე, მოქნილობა, შრომის და ბრძოლის უნარი, ინტუიცია — უნინარესად სწორედ ეს თვისებები დაედო საფუძვლად აფციაურის სპორტულ წარმატებებს. კარგად მახსოვს მისი პირველი ნაბიჯები ფარიკაობაში. 1977 წელს ბრესტში ტარდებოდა განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების საკავშირო პირველობა. რაპირისტთა ტურნირის ფინალში აფციაური ბაქეოლ ბორის კორეცკის ხვდებოდა. ძალიან დაძაბული ბრძოლა გამოდგა, ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. როცა ანგარიში 4:4 გახდა, აფციაურმა გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო, ჩემი აზრით, დაასწრო კიდეც მეტოქეს, მაგრამ მსაჯმა ჩხვლეტა კორეცკის ჩაუთვალა. აფციაური გამზარდა, სახე აელენა, თუმცა არაფერი უთქვამს — თავი შეიკავა. ვერცხლის მედალი ურიგო შედეგი არ იყო, მაგრამ მას ყოველთვის საჩემ-პიონო ამბიცია ჰქონდა. იმავდროულად, კორექტულობით და ზრდილობით გამოირჩეოდა, თანაგუნდელები განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ. ვინმეს თუ რამე დასჭირდებოდა, გვერდში დაუდგებოდა, დაეხ-



მარებოდა, გაამხნევებდა. მოკლედ, აფციაურთან ურთიერთობა ყველას სიამოვნებდა, ოლონდ არა საფარიკაო ბილიკზე. აქ ის დაუნდობელი იყო. წამში შეეძლო ბრძოლის ბედის გადაწყვეტა, ისეთი სისწრაფით შეუტევდა, რომ მეტოქე თავის დაცვას ვერ ასწრებდა. როცა საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს, ექიმებმა და სამეცნიერო ჯგუფის წევრებმა, სხვა ახალწეულებთან ერთად, აფციაურის ჯამნითელობის მდგომარეობა საფუძვლიანად გამოიკვლიერს, ტესტირებაც ჩაუტარეს და ისეთი შედეგი მიიღეს, გადასამონმებლად მთელი ეს პროცედურა თავიდან გაიმეორეს. აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოფარიკავის სასტარტო რეაქცია საშუალო მაჩვენებელს თითქმის ათჯერ აღემატებოდა.“

გარდა სისწრაფისა, ვლადიმერ აფციაური შრომისუნარიანობითაც გამოირჩეოდა. სპორტსმენი რაოდენ ნიჭიერიც არ უნდა იყოს, თავდაუზოგავი ვარჯიშის გარეშე არაფერი გამოუვა. აფციაური მწვრთნელთან ერთად საათობით იდგა საფარიკაო ბილიკზე, რათა ღრმად დაუფლებოდა ფარიკაობის ტექნიკას, დაეხვეწა ცალკეული ილეთები, შეტევისა თუ თავდაცვის ელემენტები.


1979 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაზე მესამე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს კი კიდევ ერთხელ გაიმარჯვა თანატოლთა საკავშირო ჩემპიონატში. ამას მოჰყვა მოულოდნელი და ძალზე მნიშვნელოვანი შედეგი — მეორე ადგილი რაპირისტთა კიევის საერთაშორისო ტურნირზე.

ვლადიმერ აფციაური: „ეს იყო ჩემი დებიუტი კიევის ტურნიზე, რომელიც ძალზე პრესტიულ საერთაშორისო შეჯიბრებად ითვლებოდა. ფინალურ ექვსეულში გასვლაც უკვე წარმატებას ნიშნავდა, მით უმეტეს, ფინალში გავიდნენ თლიმპიური ჩემპიონი სმირნოვი, მსოფლიოს ჩემპიონი რუზიევი, აგრეთვე ძალზე ძლიერი რაპირისტები: კუბელი ბეტანკური, ვორონეჟელები — ეგოროვი და ფომენკო. წესით, ბოლო მეექვსე ადგილი მე „მერგებოდა.“ პირველი სამი შეხვედრა მოვიგე, მათ შორის სმირნოვთან (5:1), მომდევნო ორი კი წავაგე. ოთხ სპორტსმენს შორის დამატები-

თი ბრძოლები დაინიშნა. აქ ორ მეტოქეს ვაჯობე და მხოლოდ საჩემპიონო ბრძოლაში დამარცხდი რუზიევთან — 4:5. ჩემი ვერცხლის მედალი მაშინ ნამდვილი სენსაცია იყო. ამას თავადაც არ ველოდი.“

მოფარიკავეები ორ ძირითად კატეგორიად იყოფიან: ერთი მეტწილად პირად ტურნირებში იმარჯვებენ, მეორენი კი გუნდურ ბრძოლაში გამოირჩევინ. ვლადიმერ აფციაური გუნდურ მებრძოლად ჩამოყალიბდა. 1981 წელს, როცა საქართველოს ნაკრებმა საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ამ საქმეში ლომის წილი სწორედ აფციაურმა დაიდო. მერე იყო სსრ კავშირის ნაკრები და ამ ნაკრებთან ერთად მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. თანაგუნდელები ამბობდნენ და ნაკრების მწვრთნელებიც ადასტურებდნენ, რომ აფციაურის თავდადებამ მნიშვნელოვანნილად განაპირობა მაშინდელი ნარმატება. ეს მოხდა 1982 წელს, რომში. მაგრამ, ვიდრე რომაულ ამბებზე გადავიდოდეთ, მსოფლიოს ჩემპიონატამდე რამდენიმე თვით ადრე კიევში ჩატარებულ საკავშირო პირველობას მიუჰბრუნდეთ. სწორედ ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით უნდა შერჩეულიყო ქვეყნის მთავარი გუნდის საბოლოო შემადგენლობა. ნაკრების დაკომპლექტების ეს პრინციპი ადრევე დამკვიდრდა: ვისაც დიდ საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის პრეტენზია ჰქონდა, თავისი ოსტატობა ჯერ საკავშირო სარჩიელზე უნდა დაემტკიცებინა. აქ აღებული მედალი, პრაქტიკულად, ერთგვარი „საგარანტიო საბუთი“ იყო.

კიევში საბჭოთა ფარიკაობის ელიტა შეიკრიბა. რაპირაში აღიარებული ოსტატები იყვნენ ალექსანდრე რომანკოვი, იური ლიკოვი, ვლადიმირ სმირნოვი. ამათგან ოქროს მედლის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად ოლიმპიური ჩემპიონი სმირნოვი სახელდებოდა, რომლის გამოსვლასაც მშობლიურ კიევში უამრავი გულშემატკივარი ელოდა. იმ პერიოდში აფციაურს უკვე კარგად იცნობდნენ ნაკრების მწვრთნელები. 20 წლის ჭაბუქს მოგებული ჰქონდა თანატოლთა საკავშირო პირველობა და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირშიც ნარმატებით გამოვიდა. ვლადიმერმა კიევშიც გამოიჩინა თავი: წინასწარ შეხვედრებში დამაჯერებლად დაამარცხა ძირითადი კონ-



ელადიმერ აფციაური:  
„ფარიკაობაზე, შეიძლება-  
ბა ითქვას, შემთხვევით  
მოგხვდი. ოთრიწყაროში,  
ახალსოფელში ვაზრდებო-  
დი. ჩვეულებრივი ცეცქი  
ბავშვი ვიყავი. თანამისას  
რა არ მომსელია: ხელი მო-  
მიტებია, ნარბი გამხეთქია,  
ხიდან ჩამოვარდნილვარ.  
დიდი სანათესაო გვყავდა,  
ზაფხულობით ტოლ-ბიჭე-  
ბი ერთად შევიკრძგომ-  
დით და მთელი დღე ბურთს  
დავსდევდით, ხებზე ვცო-  
ცავდით, თვითნაკეთი ხის  
ხმლებით გუარიკაობდით.  
ყოველთვის პირელობას  
ვესწრაფოდ, ჩემთვის სხვა  
შედეგი მიუღებელი იყო.  
ეტყობა, ჩემმა მთიელობამ  
თავისი ენა და ფარიკაო-  
ბისეუნ გადამძხდა...“

კურენტები, ფინალში გასასვლელი ბრძოლა კი მსოფლიოს ერთ-ერთ საუ-  
კეთესო რაპირისტს ალექსანდრე რომანკოვს მოუკო.

ქართველი მუშკეტერის ოსტატობით მოხიბლული გაზეთი „სოვეტ-  
სკი სპორტი“ წერდა: „გადამწყვეტი შეხვედრისკენ უდანაკარგოდ გაიკა-  
ფა გზა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუ-  
დენტმა ვლადიმერ აფციაურმა. ამ საშუალო ტანის მოფარიკავეს ჭეშმა-  
რიტად კავკასიური ტემპერამენტი აქვს, ძალიან სწრაფია, შესანიშნავად  
გრძნობსა დასტანციას. მან 10:8 მოუგო გამოცდილ ოსტატს იური ლიკოვს  
და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის ვლადიმირ სმირნოვთან შეხვედრის  
უფლება მოიპოვა.“ ფინალში თავიდან ქართველი სპორტსმენი დაწინაურ-  
და, მაგრამ საბოლოოდ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ-  
მა სმირნოვმა იმარჯვა — 10:6. აფციაურმა ვერცხლის მედალთან ერთად

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა.

## საპატიო ფინანსები

რომი სტუმართმოყვრულად, მაგრამ 35-გრადუსიანი სიცხით დახვდა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს. რაპირისტთა პირად ტურნირში 35 ქვეყნის 130-მდე მუშავეტერი ჩაება. აფციაურმა კარგად ჩაატარა პირველი ეტაპის შეხვედრები, 32 საუკეთესოს შორისაც მოხვდა, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო. მსოფლიოს ჩემპიონი მეოთხედ გახდა ალექსანდრე რომანკოვი.

ამას მოჰყვა გუნდური პირველობა, რომელიც ორი დღე გაგრძელდა. მედლებისთვის 24 ქვეყნის ნაკრები იბრძოდა. საბჭოთა გუნდში გამოდიოდნენ ალექსანდრე რომანკოვი, იური ლიკოვი, ვლადიმირ სმირნოვი, ვიტალი ლოგვინი და ვლადიმერ აფციაური. უფროსი მწვრთნელი იყო ალექსანდრე პერეკალსკი. საბჭოელებმა პირველი მეტოქეები იოლად დაამარცხეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ვლადიმერ აფციაური: „მეოთხედფინალში დასავლეთგერმანელებს ვხვდებოდით. მათ ძლიერი რაპირისტები ჰყავდათ და ვიცოდით, რომ დაძაბული პაექრობა გველოდა... მოთელვაზე მე და ვლადიმირ სმირნოვი ერთმანეთში ვფარიკაობდით, ვხურდებოდით. ზუსტად იმ მომენტში, როცა დაბაზში გვიხმეს, შეტევისას იარაღი გამიტყდა. თურმე, ეს ავისმომასწავებელი ნიშანი იყო... პირველ წრეში მე, ლოგვინმა, სმირნოვმა და რომანკოვმა ვიბრძოლეთ. არ გაგვიმართლა — 1:3 ნაკაგეთ. მეორე წრეში სმირნოვი მათიას ბერის ხვდებოდა. ერთ მომენტში მეტოქეებმა ერთდროულად წამოიწყეს შეტევა, ერთმანეთისკენ სწრაფად დაიძრნენ. გერმანელს რაპირა გაუტყდა, სმირნოვმა კი უცრად ნიღაბზე იტაცა ხელი, რუსულად შეიკურთხა, სიტყვა ვერც დაამთავრა — მოწყვეტით დაეცა



ზურგზე. თურმე, გადატეხილი რაპირა პირდაპირ თვალში შეერჭო. ბერიმ იგრძნო, რაც მოხდა, ინსტიქტურად იარაღი უკან გამოსწია, ელექტრო-მოწყობილობა ჩაიხსნა და ლრიალით გავარდა დარბაზიდან. სმირნოვს უმალ დაესივნენ ექიმები, პირველი დახმარება იქვე აღმოუჩინეს, მერე კი ჰოსპიტალში გააქანეს.“

აფციაური და სმირნოვი თანატოლები იყვნენ, მეგობრობდნენ, სასტუმროში ერთ ნომერში ჩერდებოდნენ. იმ დროისთვის სმირნოვი უკვე სახელოვანი სპორტსმენი იყო: 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე პირადი ტურნირი მოიგო, მომდევნო წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მერე საკავშირო ჩემპიონატშიც გაიმარჯვა, მაგრამ ბოლო დროს მაინც უკმაყოფილო ყოფილა თავისი სპორტული ფორმით და ამის შესახებ უთქვამს კიდეც აფციაურისთვის: რაღაც ვერა ვარ, ვერ ავენტვეო. რომში, პირად ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ვერ დაიცვა — ფრანგ ფლამან-თან დამარცხდა და უმედლოდ დარჩა. მერე იყო გუნდური პირველობა და ის საბედისწერო ორთაბრძოლა გერმანელ მათიას ბერისთან.

მაშინ საბჭოური ფოლადისგან დამზადებული რაპირით ფარიკაობდნენ. გადატეხვის შემთხვევაში, წვერი ბასრი რჩებოდა და საშიში იყო, თუმცა ტრაგიული შემთხვევა მანამდე არასოდეს მომხდარა. რომის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ მოთხოვნები გაამკაცრა — იქიდან მოყოლებული, საფარიკაო იარაღს გაცილებით მტკიცე ფოლადისგან ამზადებენ და ისეთი სპეციალური მასალით ამუშავებენ, რომ თუ მაინც გადატყდა, წვერი ბასრი არ რჩება.

ვლადიმერ აფციაური: „რა თქმა უნდა, შეჯიბრება შეწყდა. ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, რომ სმირნოვის ტრავმა ასეთი სერიოზული იყო. გვეგონა, რომ თვალი დაკარგა და ამას ძალიან განვიცდიდით. თურმე, ტვინის ფუნქცია ჰქონდა დარღვეული.... გერმანელებმა შეხვედრის მეორე დღისთვის გადადება შემოგვთავაზეს. მე ვთქვი, რომ მხოლოდ დღეს შევძლებდი ბრძოლას, ხვალ კი ვერ ვიფარიკავებდი. აქ, ცხადია, ლაპარაკი არ იყო სისხლის აღებაზე, შურისძიებაზე. შურს იმით ვიძიებდი, რომ მეტოქეს მწარედ და-



მალხაზ გაბუნია  
(ვლადიმერ აფრაიაურის  
მწერთნელი): „ვლადიმერი  
უნაკლოდ ფლობს ძირითად  
საფარიკაო ილექტურს და  
თავისი კიბირებიც აქვს.  
სისწავესთან ერთად, ეს  
არის დისტანციის გრძნო-  
ბა, ინტუიცია, ფანტაზია  
და, რა თქმა უნდა, იშვიათი  
ფიზიკური მომზადება.“



ვამარცხებდი. ჩვენს გუნდში ხმები გაიყო, ზოგი თანახმა იყო, ბრძოლები მეორე დღისთვის გადაგვედო, მაგრამ საბოლოოდ ჩემმა სიტყვამ გაჭრა. ორსაათიანი პაუზის შემდეგ მატჩი განახლდა. ჩვენ იძულებული ვიყავით სათადარიგო სპორტსმენი გამოგვეყვანა. სხვათა შორის, მათიას ბერიც არ გამოსულა ბილიკზე და საერთოდ, კარგა ხნით ჩამოსცილდა ფარიკაობას. შეხვედრა სმირნოვ-ბერის ანგარიშიდან (1:3) გაგრძელდა. საბოლოოდ, გერმანელები 8:6 დავამარცხეთ და ოთხეულში შევედით.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი რომაული დრამის შესახებ წერდა: „გადამწყვეტი შეხვედრების — ნახევარფინალისა და ფინალის წინ საბჭოთა ნაკრები კაპიტნის — ვლადიმირ სმირნოვის გარეშე დარჩა და უაღრესად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. გუნდის ოთხი წევრიდან ორი დებიუტანტი იყო, მათ შორის — ვლადიმერ აფციაური. სწორედ ამ კრიტიკულ სიტუაციაში გამოვლინდა მისი მებრძოლი ხასიათი.

დაძაბულ ნახევარფინალურ მატჩში საბჭოთა ნაკრებმა 8:6 დაამარცხა იტალიის გუნდი და მთავარ არენაზე გავიდა, სადაც საფრანგეთის ნაკრები ელოდა. ბოლო 30 წლის განმავლობაში საბჭოთა და ფრანგი რაპირისტები ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და თითოეული მატჩი ძალზე დაძაბული იყო, ნარმატებასაც მონაცელეობით აღნევდნენ. ამჯერადაც ასე მოხდა, უპირატესობას ხან ერთი გუნდი ფლიბდა, ხან — მეორე.“

ვლადიმერ აფციაური: „ფრანგებს ძლიერი გუნდი ჰყავდათ. ვიცოდით, რომ ოლიმპიურ ჩემპიონებთან რთული შეხვედრა გველოდა. ფინალის წინ სასტუმროში წავედით დასასვენებლად. ოთახი ცარიელი დამხვდა და უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა. ჩვენ გვეგონა, რომ სმირნოვი რეანიმაციაშია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. უარესზე არც ვფიქრობდით...იმსანად მეც და სმირნოვიც ულვაშს ვატარებდით. ერთხელ მკითხა, რატომ არის, რომ ყველა ქართველს ულვაში შავი აქვსო. მე გავეხუმრე: თუ შენც შავი ულვაში გინდა, გაიპარსე და საულვაშეზე ნიორი წაისვი-მეთქი. შეკრებაზე ვიყავით. დილით მწვრთნელებმა ვარჯიშზე რომ ჩაგვამწკრივეს, ნივრის სუნი გვეცა. თურმე, მართლა მოუპარსია



ულვაში და ნიორი წაუსვია. მერე უკვე სერიოზულად დავპირდი: რადგან გული ასე გწყდება, მსოფლიოს ჩემპიონატს თუ მოვიგებთ, შენი ხათრით ულვაშს მოვიპარსავ-მეთქი.

...ფინალი გვიან საღამოს დაიწყო, დაახლოებით ათი საათი იქნებოდა. ამ დროს დარბაზში გუნდის ექიმი შემოვიდა, ჰოსპიტლიდან მობრუნდა. დავინახე, ნაკრების უფროს მწვრთნელს, პერეკალსკის ხელებით ანიშნა, საქმე ცუდად არისო. მერე საუბარი გაუბა. ახლოს ვიდექი და გავიგონე — ვერ გადარჩება, უმძიმესი ტრავმა აქვსო. იქვე იდგა ჩვენი თანაგუნდელი ორი გოგონა. ეს რომ გაიგეს, ტირილით ავარდნენ ტრიბუნაზე. პერეკალსკიმ ყველა გააფრთხილა, ბიჭებს არაფერი არ უთხრათ.

ფრანგებს უძლიერესი გუნდი ჰყავდათ: პასკალ უოლიო, დიდიე ფლამანი და ფრედერიკ პიეტრუჩა მოსკოვის ომიმპიადის გუნდური ჩემპიონები იყვნენ, ფილიპ ომნესმა კი ეს ტიტული მოგვიანებით, ბარსელონაში მოიგო, თანაც — პირად შეჯიბრებაში. მოკლედ, ძნელი ბრძოლა გველოდა და ამ ყველაფერს განსაკუთრებით ამძიმებდა სმირნოვის ტრაგიული ამბავი... მატრის მე ვიწყებდი, პირველი ბრძოლის შედეგს კი გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მწვრთნელების გათვლით, დასკვნითი ბრძოლაც მე უნდა ჩამეტარებინა. პირველ მეტოქეს — პასკალ უოლიოს 5:1 მოვუგე და დავნინაურდით. მეორე წრეში პიეტრუჩას ვაჯობე, მაგრამ ჩემმა თანაგუნდელებმა რამდენიმე შეხვედრა დათმეს და წინ ფრანგები გავიდნენ.“

საფრანგეთის ნაკრები შეუპოვრად იბრძოდა და როცა ანგარიში 6:3 გახდა, საპჭოელები კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ამ დროს ბილიკზე გავიდნენ რომანკოვი და უოლიო. რომანკოვმა დიდი უპირატესობით აჯობა ფრანგთა ფავორიტს, მერე კი ქართველი რაპირისტის ჯერი დადგა. აფციაურმა ამჯერდა ფლამანს მოუგო (5:3) და მინიმუმადე შეამცირა გუნდური ანგარიში — 5:6. თანაგუნდელებს მხარი აუბა ლიკოვმა და ანგარიში გათანაბრდა — 6:6. მომდევნო ორი ბრძოლა ფრანგებმა მოიგეს, ერთიც — საბჭოელებმა. დარჩა ბოლო და გადამწყვეტი შეხვედრა: აფციაური — ომენესი. ფრანგები წინ არიან — 8:7, მაგრამ ოქროს მედლების ბედი ახლა უნდა



ელადიმერ აფციაური:

„მაშინ, კომუნისტების  
ეპოქაში ჯვრის ტარებას  
და ეკლესიაში სიარულს  
არავინ მოგიწინებდა. მახ-  
სოვს, ტელევიზირებულ ზურვი  
შევაძლი, პირველი გადა-  
ვინერე, ჩვენს სალოცავებს  
კი ჩუმად შევევედრე —  
გთხოვთ მომცეთ ძალა, ახ-  
ლა ძალიან მჭირდება-მეთ-  
ქი. ანგარიშის გათანაბრე-  
ბის შემდეგ, ომნებს კიდევ  
ერთხელ გასკეთო თავან-  
ნირეით — შეტევა შორიდან  
დავიწყე და ბოლომდე მი-  
კაყვანე. ამას ჩვენ შეტევა-  
ფლეშს ეეძახით. ტაბლოზე  
აინთო ციფრები — 5:4.  
გუნდური ანგარიში გათა-  
ნაბრდა (8:8), ჩსვლეტების  
უკეთესი შეფარდებით კი  
მსოფლიოს ჩემპიონები  
ჩვენ გავხდით.“



გადაწყდეს. ჩხვლეტების შეფარდება ისეთია, რომ აფციაურს ნებისმიერი ანგარიშით მოგება ანყობს. მოკლედ, თუ ქართველი გაიმარჯვებს, საბჭო-თა ნაკრები ჩემპიონია, თუ ომნესი — პირველ ადგილზე საფრანგეთი გადის. ალბათ, ძნელი ნარმოსადგენი არ უნდა იყოს, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა 20 წლის აფციაურს, უპირველესად — სასიკვდილოდ განნირული მეგობრისა და სხვა თანაგუნდელების წინაშე... თავიდანვე ომნეისი დაწინაურდა და აფციაურმა მხოლოდ შეხვედრის მიწურულს, უაღრესად კრიტიკულ მომენტში შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 4:4.

ვლადიმერ აფციაური: „მაშინ, კომუნისტების ეპოქაში ჯვრის ტარებას და ეკლესიაში სიარულს არავინ მოგინონებდა. მახსოვს, ტელეკამერას ზურგი შევაციე, პირველი გადავიწერე, ჩვენს სალოცავებს კი ჩუმად შევევედრე — გთხოვთ მომცეთ ძალა, ახლა ძალიან მჭირდება-მეთქი. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, ომნეს კიდევ ერთხელ ვეკვეთე თავგანწირვით — შეტევა შორიდან დავიწყე და ბოლომდე მივიყვანე. ამას ჩვენ შეტევა-ფლეშს ვეძახით. ტაბლოზე აინთო ციფრები — 5:4. გუნდური ანგარიში გათანაბრდა (8:8), ჩხვლეტების უკეთესი შეფარდებით კი მსოფლიოს ჩემიონები ჩვენ გავხდით.

ფინალში ოთხიდან ოთხივე ბრძოლა მოვიგე, რომანკოვმა — ორი, ლიკოვგმა და ლოგვინმა — თითო-თითო. ოქროს მედლები ავიღეთ, მაგრამ სიხარულის გრძნობა არ გვქონია, ფიქრით ყველანი სმირნოვთან ვიყავით. მან ათი დღე იცოცხლა და ისე გარდაიცვალა, გონს არ მოსულა. მისი დაკრძალვა ჩემი დაბადების დღეს, 5 აგვისტოს დაემთხვა. მთელი გუნდით ჩავედით კიევში... ამ ტრაგედიაშ ძალიან შემცვალა, გუნდის კაპიტნისა და მეგობრის დაკარგვამ მძიმედ იმოქმედა ჩემზე. ფარიკაობისთვის თავის დანებებას ვაპირებდი. საკუთარ ჯანმრთელობაზე კი არ ვფიქრობდი, არამედ იმაზე, რომ შეჯიბრების დროს, უნებლიერ, ვინმე სასიკვდილოდ არ დამეჭრა და ცოდვა არ დამედო. ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე პერეკალსკიმ გადამათქმევინა: შენ ფარიკაობის ისეთი სტილი გაქვს, გამორიცხულია მსგავსი რამ შეგემთხვესო. ათას სხვა რამეზეც მელაპარაკა და მეც დავყევი მის ნებას.“

## 23 ლეის შემდეგ

რომაული გამარჯვება ლირსეულად დააფასა საბჭოთა ხელისუფლებამ. ყველა მიხვდა, რომ ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში ჩემპიონობის მოპოვება გმირობის ტოლფასი იყო. მოსკოვის აეროპორტში გუნდს დახვდა საგანგებო დელეგაცია. იქიდანვე მოსკოვის დამცველთა მემორიალისკენ გაემგზავრნენ და ოქროს მედალოსნებს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის სამკერდე ნიშნები გადასცეს. ვლადიმერ აფციაურის მიმართ ყველანი საგანგებო ყურადღებას იჩენდნენ, ხაზს უსვამდნენ მის განსაკუთრებულ წვლილს ამ წარმატებაში... მოგვიანებით, აფციაურმა თავისი უკრაინელი მეგობრისთვის მიცემული ბოლო სიტყვა შეასრულა — ულვაში მოიპარსა, სამუდამოდ.

1982 წელს ვლადიმერ აფციაურს ქართველ სპორტსმენთაგან ერთ-ერთი საუკეთესო შედეგები აღმოაჩნდა და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული საახალწლო რეფერენცუმის ლაურეატიც გახდა. მას ათეულში მეორე ადგილი ერგო, საუკეთესოდ კი მოჭადრაკე ქალთა ნაკრები (ზონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი) დაასახელეს, რომელმაც საჭადრაკო ოლიმპიადაში გაიმარჯვა. სხვათა შორის, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჟურნალისტებმა საუკეთესოდ მთელი გუნდი აღიარეს.

მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ, 1983 წელს აფციაურმა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე იფარიკავა, მაგრამ მისი კვალიფიკაციის შესაფერისი შედეგი ვერ აჩვენა და პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. მაგალითად, კიევის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც ტრაგიკულად დალუპული ვლადიმირ სმირნოვის მემორიალი ეწოდა, აფციაურმა პირად ტურნირში მეხუთე ადგილი დაიკავა, ვენის მსოფლიოს ჩემპიონატზე — გუნდური მეშვიდე.

ამბობენ, სპორტსმენმა ჯერ საკუთარ თავს უნდა აჯობოს, მერე კი — მეტოქესო. დიდ წარმატებას საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებული, ბრძო-



ლის უინით ანთებული ათლეტები აღწევენ. ვლადიმერ აფციაური სწორედ ასეთთა რიგებს განეკუთვნებოდა და დროებითი „შტილის“ შემდეგ, თანდათან იკრეფდა ძალებს. მთავარი გამარჯვებები ჯერ კიდევ წინ იყო.

ამასაობაში ახლოვდებოდა 1984 წლის ოლიმპიური თამაშები. საუკეთესო ქართველი სპორტსმენები, ბუნებრივია, ამ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე და იქ გამარჯვებაზე ოცნებობდნენ. მათ შორის იყო ვლადიმერ აფციაურიც. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რომის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, აფციაურს სერიოზული ნარმატებისთვის არ მიუღწევია და საბჭოთა ნაკრებში ადგილის დასაბრუნებლად დიდი ბრძოლა ელოდა. 1983 წელს ვლადიმერმა საკავშირო სპარტაკიადის გუნდური ვერცხლის მედალი მიიღო, 1984 წლის გაზაფხულზე კი სმირნოვის სახელობის კიევის საერთაშორისო ტურნირში ჩაება. პირად ტურნირში სამივე მედალი უცხოელ რაპირისტებს ერგოთ, გუნდურ შეჯიბრებაში კი საუკეთესო იყო საბჭოთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში ქართველი მუშკეტერიც გამოდიოდა.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიადამდე თვეებიღა რჩებოდა, „წითელი“ ბოკიტის შესახებ უკვე ხმამაღლა საუბრობდნენ, თუმცა ოფიციალური განცხადება არ კეთდებოდა და საბჭოთა სპორტსმენები, მთ შორის — მოფარიკავეები გრაფიკის მიხედვით ემზადებოდნენ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის. ნაკრებში პოზიციების განსამტკიცებლად შათ ტალინში გასამართ საკავშირო ჩემპიონატში უნდა გამოეჩინათ თავი, თუმცა ამ შეჯიბრებამდე ცოტა ხნით ადრე საბოლოოდ გაირკვა, რომ საბჭოელები და ე. ნ. სოკბანაკის ქვეყნები ამერიკულ ოლიმპიადას ბოიკოტს უცხადებდნენ და ალტერნატიულ შეჯიბრებაში — „დრუჟბა-84“ გამოვიდოდნენ... ტალინის ჩემპიონატზე მაინც უძლიერესები შეიკრიბნენ. ცხადია, ფავორიტად ითვლებოდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ალექსანდრე რომანკოვი, რომელიც აფციაურზე ათი წლით უფროსი იყო. რაპირისტთა ფინალში სწორედ რომანკოვი და აფციაური გავიდნენ. სახელოვანი ვეტერანისა და 22 წლის ქართველი სპორტსმენის შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა და აფციაურის გამარჯვებით დასრულდა — 11:9. მსოფლიოს ჩემპიონის ტი-

ტულის მქონე სპორტსმენისთვის საკავშირო ჩემპიონატის მოგება, თითქოს, განსაკუთრებულ მიღწევად არ უნდა ჩაეთვალათ, მაგრამ ტალინურ ოქროს მაინც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გარდა იმისა, რომ აფციაურმა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო რაპირისტს აჯობა, პირველად იმარჯვა სსრ კავშირის პირად ჩემპიონატში. ნუგზარ ასათიანისა და გურამ კოსტავას შემდეგ, მთელი 23 წელინადი, ქართველ მოფარიკავეებს ასეთი შედეგი არ ჰქონიათ.

ვლადიმერ აფციაური: „რომანკოვი ძალიან ტექნიკური და სწრაფი მოფარიკავე იყო. მსოფლიოს ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი მან ათი წლით ადრე, 1974 წელს მოიპოვა, როცა მე ფარიკაობა ახალი დაწყებული მქონდა. რომანკოვი განსაკუთრებით ძლიერი იყო პირად ტურნირებში და სარეკორდო შედეგიც ჰქონდა: მსოფლიოს ჩემპიონის ხუთი ტიტული. პირადში გამარჯვება გუნდურზე პრესტიულია და ამიტომაც ბოლომდე იხარჯებოდა. კარიერის დასაწყისში, როდესაც ჯერ კიდევ გამოუცდელი ვიყავი, მასთან რამდენიმეჯერ დავმარცხდი, მაგრამ მერე და მერე ვითარება საჩემოდ შეიცვალა. რომანკოვი ცაცია იყო, რასაც მალე ავუდე ალლო, თანაც სისწრაფე არც მე მაკლდა. ამისთვის სპეციალურად არასოდეს მივარჯიშია — ასეთი დავიბადე. ჩემი სისწრაფით ზოგჯერ მეტოქებიც სარგებლობდნენ — ვერ ხვდებოდნენ ჩემს ჩანაფიქრს და შეშინებულები, ინსტიქტურად გადმოდიოდნენ შეტევაზე. გონებაში წამიერად „ვალაგებდი“ მთელ კომბინაციას — შეტევა, დაცვა, საპასუხო რეაქცია — აზრით ყოველთვის წინ ვუსწრებდი მოქმედებას, რაც ხანდახან ხელსაც მიშლიდა. მომენტი ზუსტად უნდა შეარჩიო და ვითარების ადექვატურად უნდა იმოქმედო. ეს გამოცდილებას მოაქვს... ერთი არასტანდარტული კომბინაცია მქონდა, რომელსაც, მეტოქეთათვის მოულოდნელად, ზურგზე ჩხვლეტით ვამთავრებდი. ეს ილეთი განსაკუთრებით ცაციებთან ჭრიდა. რომანკოვმა ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერი მოიფიქრა. ტალინში ჩვენი ბრძოლა ჩემი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მსაჯი ჩხვლეტებს არ მითვლიდა, პირიქით, რომანკოვს აძლევდა ქულებს. თავიდან 1:4 ვაგებდი, მერე ანგა-



რიში 9:9 გახდა, ბოლოს კი შანსი არ დავუტოვე. უსამართლო მსაჯობა სხვა დროსაც ბევრჯერ ყოფილა. მახსოვს, საკავშირო სპარტაკიადაზე ვიტალი ლოგვინს მოვუგე, მსაჯებმა შედეგი დააფიქსირეს, ტაბლოზეც დაიწერა და როცა უკვე მორიგი შეხვედრისთვის ვემზადებოდი, შეიკრიბა რამდენიმე კაცი, ვისაც გავლენა ჰქონდა მოფარიკავეთა წრეში, ითათბირეს, ბოლო ჩხვლეტა ლოგვინს ჩაუთვალეს და გამარჯვებულად ის გამოიაცხადეს. ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი, ბატონი ნუგზარ ასათიანი იქ იყო, გააპროტესტა ეს უსამართლობა, მაგრამ მსაჯთა კოლეგიასთან ვერაფერს გახდა ...

ამჯერად, რომანკოვთან შეხვედრაში ჩემი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მსაჯებმა ამდენი ვერ გაძედეს.“

სეულიდან დაბრუნებულ  
ოლიმპიურ ჩემპიონს  
გამარჯვება ერთ-ერთმა  
პირველმა დედამ მოუღოცა,  
თბილისის აეროპორტი,  
1988 წელი

## ალტერნატივა

ტალინში გამართული ჩემპიონატი აფციაურის ორმაგი გამარჯვებით აღინიშნა: გარდა პირადი ტურნირისა, მან დინამოელ თანაკლუბელებთან ერთად (რომანკოვი, ლაპიცკი, კორეცკი) გუნდურ შეჯიბრებაშიც გაიმარჯვა და საბჭოთა ნაკრებში წამყვანი პოზიციები დაიბრუნა. მით უფრო სამწევაროა, რომ ოლიმპიური ბოკოტის გამო, ლოს-ანჯელესის ნაცვლად, ბუდაპეშტში მოუწია გამგზავრება. სწორედ უნგრეთის დედაქალაქში ჩატარდა ოლიმპიური თამაშების ალტერნატიული შეჯიბრების — „დრუჟბა-84-ის“ მოფარიკავეთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, პოლონეთის, გდრ-ის, ბულგარეთის, კუბისა და უნგრეთის გუნდები. საბჭოლთაგან პირად შეჯიბრებაში ჩაებნენ აფციაური, რომანკოვი და ლაპიცკი. სტარტზე აფციაურმა მშრალი ანგარიშით — 10:0 მოუგო პოლონელ სიპრევსკის, მეორე ნრეში კი დაძაბულ ბრძოლაში აჯობა მასპინძელ ერშექა — 10:9. ბოლოს, ფინალურ ეტაპზე გასასვლელად აფციაურმა კიდევ ერთხელ დაამარცხა სიპრევსკი, ამჯერად — 10:9.

ვლადიმერ აფციაური: „ვიცოდი, რომ მთავარი ბრძოლები წინ იყო და ძალებს ვზოგავდი, იმდენს ვაკეთებდი, რამდენიც საკმარისი იყო მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. ხანდახან ასეც ხდება: გეჩვენება, რომ ძალა გამოგელია, უფრო და უფრო გიჭირს მოგება, მაგრამ როცა ფინალი ახლოვდება, როცა მიზნამდე ერთი ნაბიჯი რჩება, თითქოს ახალი ენერგიით ივსები... დილის შეხვედრების შემდეგ სასტუმროში მივპრუნდი. წამოვწექი, ცოტას დავისვენებ-მეთქი. მალე თემური შემოვიდა, აფხაზავა, ჩვენი მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში. ისეთ გუნებაზე იყო, მივხვდი, რომ საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა. ოქროს მედალი მაჩვენა და ღიმილით მითხრა: აბა, შენ იცი, საქართველოში კიდევ ერთი ოქრო უნდა წავიღოთო. ნალდი ქუთაისელია, არაფერი ეშლება, მისმა ნათქვამმა დოპინგივით იმოქმედა ჩემზე.“

ფინალი ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა, როცა წაგება ბრძოლიდან გასვლას ნიშნავს. ისე მოხდა, რომ მეოთხედფინალში აფციაური კენჭის-



ყრით კვლავ პოლონელ სიპნევსკის დაუწყვილდა, კიდევ ერთხელ მოუგო (10:6) და ნახევარფინალში ალექსანდრე რომანკოვის პირისპირ აღმოჩნდა. სარევანშოდ შემართული რომანკოვი ამჯერადაც ვერ გაუმტკლავდა ქართველი მოფარიკავის ელვისებურ შეტევებს და დამარცხდა — 4:10.

მალხაზ გაბუნია: „არადა, თავად რომანკოვი მეტისმეტად სწრაფია და მისი ტაქტიკა სწორედ სწრაფ შეტევებზეა აგებული. რომანკოვს უდიდესი გამოცდილება აქვს, მაგრამ აფციაური მაინც ახერხებს წონასწორობიდან მის გამოყვანას, ზუსტად იმას აკეთებს, რაც მეტოქეს ყველაზე მეტად არ უყვარს. ვლადიმერი უნაკლოდ ფლობს ძირითად საფარიკაო ილეთებს და თავისი კოზირებიც აქვს. სისწრაფესთან ერთად, ეს არის დისტანციის გრძნობა, ინტუიცია, ფანტაზია და, რა თქმა უნდა, იშვიათი ფიზიკური მომზადება.“

აფციაური იმ თაობის ერთადერთი რაპირისტი იყო მსოფლიოში, რომელიც ლეგენდარულ ალექსანდრე რომანკოვთან არ დამარცხებულა. მან ბუდაპეშტში კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უპირატესობა და ფინალში კუბელ ბეტანკურს შეხვდა.

ვლადიმერ აფციაური: „ვიცოდი, რომ ფინალში მძიმე ბრძოლა მელოდა. ბეტანკური მაღალია, გამხდარი, გრძელებულება. ერთი სიტყვით, უხერხული მეტოქეა, პატარა შეცდომასაც არ გაპატიებს... ისე ადვილად დავწინაურდი, რომ გაკვირვებული დავრჩი. რამდენიმე წუთში უკვე 6:3 ვიგებდი. ეტყობა, ამან გამათამამა, ყურადღება გამეფანტა და ზედიზედ ოთხი ჩხვლეტა მივიღე. ჩემთვის გავიფიქრე, ეგრე არ გამოვა, რაღაც უნდა ვიღონო-მეთქი. მწვრთნელები და თანაგუნდელები რაღაცას მიყვიროდნენ, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ბოლო ჩხვლეტა საგანგებოდ მოვამზადე და კარგადაც გამომივიდა. ტრიბუნისკენ გავიხედე და მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო.“

ამას მოჰყვა გუნდური ტურნირი. საბჭოელები პირველ წრეში ისვენებდნენ და ბრძოლაში პირდაპირ ნახევარფინალიდან ჩაერთვნენ. აქ კუბელებს 9:6 მოუგეს (აფციაურმა 3 შეხვედრაში გაიმარჯვა), ფინალში კი უნ-



ვლადიმერ აჭციაური  
ლენინგრადის  
საერთაშორისო  
ტურნირზე.  
1989 წელი



გრელებს აჯობეს — 9:5. მოკლედ, ვლადიმერ აფციაურმა ბუდაპეშტიდან ორი ოქროს მედალი წამოიღო.

ვლადიმერ აფციაური: „იმ პერიოდში სოციალისტური ქვეყნების რა-პირისტები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და უმეტეს საერთაშორისო შეჯიბრებებში იმარჯვებდნენ. მაგალითად, წინა წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდური საპრიზო ადგილები სწორედ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა გაინაწილეს, პირადი ტურნირი რომანკოვმა მოიგო, ბრინჯაოს მედალი კი პოლონელ სიპრევესკის ერგო. იმის თქმა მინდა, რომ „დრუჟბა-84“ მეტად წარმომადგენლობითი შეჯიბრება იყო. უნგრელებს ახალგაზრდა, ამბიციური ბიჭები ჰყავდათ, გულშემატკივართა მხარდაჭერაც არ მოჰკლებიათ, მაგრამ ფინალი მაინც მოვუგეთ. ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მაინც რომანკოვთან ბრძოლა იყო პირადი ტურნირის ნახევარფინალში. ჩვენ კარგი პირადი ურთიერთობა გვქონდა, თუმცა როცა ჩემთან აგებდა, ბრაზდებოდა. აქაც, ბუდაპეშტში, ძალიან აღელვებული იყო, რადგანაც მთავარი კონკურენტი ისევ მე ვიყავი. იმ წელს სსრ კავშირის საუკეთესო სპორტსმენისთვის ლენინის ორდენი უნდა გადაეცათ. თუ რომანკოვი ბუდაპეშტში გაიმარჯვებდა, ორდენის მთავარი პრეტენდენტი ის ხდებოდა. ამის გამო ნაკრების ხელმძღვანელებს თავსატეხი გაუჩნდათ. არ იცოდნენ, რა ექნათ — მოსულიყვნენ ჩემთან და რომანკოვისთვის ბრძოლის დათმობა ეთხოვათ, თუ საერთოდ სასწორზე შეეგდოთ ოქროს მედლის ბედი. საქმე ის არის, რომ დიდი შანსი იყო, რომანკოვი ფინალში თუ გავიდოდა, ბეტანკურისთვის ვერ მოეგო, მე კი კუბელთან დადებითი ბალანსი მქონდა. მოკლედ, ნახევარფინალის წინ ჩემთან მოვიდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ვიზგუნოვი და მეკითხება, ბეტანკურს თუ მოუგებო. ვუპასუხე, ჯერ რომანკოვს უნდა შევხდე-მეთქი. რომანკოვს რომ აჯობებ, ვიცი, კუბელს თუ დაამარცხებო. კითხვას კითხვით ვუპასუხე: „რა ვქნა, მივცე ბრძოლა რომანკოვს?“ ვიზგუნოვს იმ მომენტში მეტი არაფერი უთქვამს, რადგანაც ასეთი საკითხების გადაწყვეტაში მთავარი იყო ფარიკაობაში სახელმწიფო მწვრთნელის

გალინა გოროხოვას აზრი. როგორც ჩანს, თავის თავზე პასუხისმგებლობა ვერც გოროხოვამ აიღო. ბოლოს ისევ მთავარმა მწვრთნელმა მითხვა: არავითარი დათბობა. იმუშავე და ბეტანკურთან შეხვედრაზეც იფიქრეო. ვიმუშავე და მოვიგე კიდეც. ბრძოლა რომ დამთავრდა, რომანკოვმა გულისწყრომა ვერ დამალა: როგორ გამიფუჭე საქმე, ახლა ლენინის ორდენს არავინ მომცემსო. მართლაც, იმ წელს ორდენი სომქმედა ძალოსანმა იურიკ ვარდანიანმა მიიღო.“

## ფიცი მნამს, პოლო მაკვირვებს

ბუდაპეშტში აფციაურმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაკრების-თვის შეუცვლელი კაცი იყო. ბუნებრივია, მისი გადაბირება არაერთ სპორტულ საზოგადოებას სურდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ „დინამო“ და ცსკა.

მორის სახვაძე, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი: „მაშინდელი წესის მიხედვით, თუ სპორტსმენი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკში“ ირიცხებოდა, სწავლის დამთავრების შემდეგ კი სხვადასხვა სპორტსაზოგადოებებში იწვევდნენ. საუკეთესოები, როგორც წესი, „დინამოში“ ან ცე-ესკაში ხვდებოდნენ. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აფციაურიც არჩევანის წინაშე დადგა. სპორტული თვალსაზრისით, მის-თვის „დინამო“ ჯობდა, რადგანაც უძლიერესი რაპირისტები, მათ შორის რომანკოვიც, აქ ირიცხებოდნენ. მაგრამ არმიელებმა, არც მეტი, არც ნაკლები, თავდაცვის მინისტრის გრეჩკოს დონეზე ჩააწყვეს საქმე. მოსკოვი-დან საიდუმლო დირექტივა მოვიდა — თეთრინყაროს რაიონის სამხედრო კომისარიატს ჯარში გაწვევამდე საგულდაგულოდ უნდა გადაენახა აფციაურის საბუთები. ცალკე დინამოელები აქტიურობდნენ და როგორც კი აფციაურმა ინსტიტუტის დიპლომი აიღო, მაშინვე გაამზადეს საბუთების



დუბლიკატები და ჩვენი მოფარიკავე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორიოლის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხეს. შესაბამისად, აფციაური უკვე დინამოელი იყო. ამას ხმაური მოჰყვა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. გრეჩურმ პოლიტბიუროს სხდომაზე დააყენა „დინამოს“ საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის — სისოევის დასჯის საკითხი, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ მისი დაცვა შეძლო. მოკლედ, აფციაური „დინამოში“ დარჩა.“

როცა ეს ამბები ხდებოდა, თავად აფციაური უცხოეთში იყო შეჯიბრებაზე. მოსკოვში აეროპორტში დახვდნენ, იქიდან ორიოლში ჩაიყვანეს, კურსანტის ფორმა ჩააცვეს და ფიციც დაადებინეს. მაგრამ აფციაურის „აგენტურული“ კარიერა მაღლე დასრულდა — ლექციების სისტემატური გაცდენისთვის კგბ-ეს უმაღლესი სკოლიდან გარიცხეს.

იმ ამბების მოსაცონრად დარჩა საპატიო სიგელი, რომელსაც ხელს აწერს სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ჩებრიკოვი. ეს სიგელი აფციაურს გადაეცა „დრუჟბა-84“-ში წარმატებული გამოსვლისთვის.

1984 წლის სპორტული სეზონის ბოლო შეჯიბრება იყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება, რომელიც ქუთაისში ჩატარდა. „ქუთარიტის“ სპორტულ კომპლექსში უძლიერესი მოფარიკავეები შეიკრიბნენ. რაპირისტთა ტურნირში 70 სპორტსმენი ჩაება. სათასო შეჯიბრებას საქართველომ პირველად 1960 წელს უმასპინძლა. მაშინ ოთხიდან სამი ჯილდო თბილისში დარჩა. თასები მოიპოვეს გურამ კოსტავამ, ნუგზარ ასათანძა და იური ოსიპოვმა. ამჯერად მასპინძელთაგან თასის აღება ვერავინ შეძლო, მათ შორის ვერც სეზონის ლიდერმა ვლადიმერ აფციაურმა. ამის მიუხედავად, აფციაურის ოსტატობას მაღალი შეფასება მისცეს სპორტულმა უურნალისტებმა. გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ წერდა: „ერთი შეხედვით, ვლადიმერ აფციაური აულელვებელი, დინჯი ახალგაზრდაა, მაგრამ კავკასიური ტემპერამენტით დამუხტული, ერთბაშად ფერების საფარიკაო ბილიკზე. 1984 წელს მან ყველა მთავარი ტურნირი მოიგო და საბჭოთა რაპირისტთა



გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“:  
„სწრაფი, მოქნილი, ტემპე-  
რამენტიანი და ფეთქებადი  
კლადიმერი ეჭვექტურადც  
უტევს და ამავე ძროს თავ-  
საც ჩინებულად იცავს ...  
უყარს ხლოხური და თან-  
მედროვე მუსიკა, თუმცა  
ჯერჯერობით მისი ყველა-  
ზე საყვარელი მელოდია  
ფარიკაობაა ფარიკაობის  
მოყვარულები კვლავაც  
ელიან ამ სიპათიური მთიე-  
ლის გამოსცლას ასპარეზზე,  
რათა კვლავ დაუკრან  
ტაში მის ცეცხლოვან  
„რაპირით ცეკვას.“



ნაკრების ნომერ პირველი მუშკეტერი გახდა... აფციაურმა თვითი ალექსან-დრე რომანკოვსაც აჯობა, ერთადერთ რაპირისტს მსოფლიოში, რომელიც მსოფლიოს პირადი ჩემპიონატების ხუთ ოქროს მედალს ფლობს.

ახალსოფელი აფციაურების მშობლიური სოფელია. აქ გაიზარდა მომავალი ჩემპიონი. ქართული ხმალივით სწრაფს, თანატოლებს შორის ყოველთვის პირველობა უნდოდა. ასეთებზე ამბობენ, სპორტისთვის არის დაბადებულიო. ქართველი მამაკაცები ოდითგანვე ფოლადის იარაღის ოსტატები იყვნენ. გავიხსენოთ ოლიმპიური ჩემპიონი ნუგზარ ასათიანი და მისი თანაგუნდელი მორის სახვაძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გურამ კოსტავა, სხვა დიდი ოსტატები... გავიხსენოთ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც. აფციაურმა ჯერ კიდევ პირად პირველობაში მიიქცია სპეციალისტების ყურადღება, როცა ზედიზედ ამარცხებდა მეტოქეებს, მათ შორის — აღიარებულ ოსტატებს. გუნდური შეჯიბრების ფინალში სწორედ აფციაურმა მოუგონ გადამწყვეტი შეხვედრა ფრანგთა ამომავალ ვარსკვლავს, ომნესას და საბჭოთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ამ მატჩში აფციაურს არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია. იგი იმ დღისა და, საერთოდ, მთელი ჩემპიონატის ნამდვილი გმირი იყო.

რომიდან დაბრუნებისთანავე სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს. მაშინ იგი სულ რღაც 20 წლისა იყო. ქვეყნის უმაღლესი სპორტული წოდება ამ ასაკის მოფარიკავებს შორის ერთეულებს თუ და-უმსახურებიათ.

სწრაფი, მოქნილი, ტემპერამენტიანი და ფეთქებადი ვლადიმერი ეფექტურადაც უტევს და ამავე დროს თავსაც ჩინებულად იცავს... უყვარს ხალხური და თანამედროვე მუსიკა, თუმცა ჯერჯერობით მისი ყველაზე საყვარელი მელოდია ფარიკაობაა. ფარიკაობის მოყვარულები კვლავაც ელიან ამ სიმპათიური მთიელის გამოსვლას ასპარეზზე, რათა კვლავ დაუკრან ტაში მის „კუჭხლოვან „რაპირით კუკვას.““

ვლადიმერ აფციაური: „1984 წელი მართლაც წარმატებული გამოდგა ჩემთვის. საკავშირო ჩემპიონატზე გამარჯვებული შემდეგ, ასევე ორი ოქროს



მაღაზაზ გაბუნია და  
ელადიმერ ალციაური

მედალი ავიღე ბუდაპეშტის ტურნირში. სხვათა შორის, უნგრეთში საბჭოთა სპორტსმენებმა სულ ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს, აქედან სამი მედალი ჩემსა და თემურ აფხაზავას აწეარიშვილი. დასანანია, რომ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაში მონაწილეობის საშუალება არ მოგვეცა. ვერავინ იტყვის, იქ რა მოხდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ კარგ ფორმაში ვიყავით.“

## ლაპირითი

ახალი წლის სადღესასწაულო დღეები არც იყო გასრულებული, რომ წამყვანი საბჭოთა მოფარიკავეები სეზონისთვის სამზადისს შეუდგნენ. პირველი საკავშირო დათვალიერება მოეწყო მინსკის მახლობლად, „სტა-იკის“ სპორტულ ბაზაზე. რომანკოვის გარდა, სტარტზე გამოვიდა ყველა უძლიერესი რაპირისტი. ორწრიანი წინასწარი შეჯიბრების შემდეგ, ვლა-დიმერ აფციაური საუკეთსო ექვსეულში მოხვდა. ფინალში ახალგაზრდა ლენინგრადელი შევცოვი დაწინაურდა, თუმცა მას აფციაური წამოენია და უძლიერესის გამოსავლენად დამატებითი ბრძოლა დაინიშნა. ამ ბრძოლა-ში ქართველმა გაიმარჯვა და სეზონის პირველი შეჯიბრება მოიგო. იმავე წლის მაისში აფციაურმა პოლონეთში გამართულ საერთაშორისო ტურ-ნირში იასპარეზა, ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, პოლონელ რო-ბაკთან დამარცხდა, საბოლოოდ კი მეოთხე ადგილი დაიკავა.

ამასობაში მოახლოვდა ბარსელონის მსოფლიოს ჩემპიონატი, რო-მელსაც წინ უძლოდა მთავარი შესარჩევი შეჯიბრება — სსრ კავშირის ჩემპიონატი. 1985 წლის უკვე ჩატარებული ტურნირების შედეგების ანა-ლიზით მწვრთნელები საერთო დასკვნამდე ვერ მივიღნენ, ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტათ, ვინ მიეწვიათ ნაკრებში. ამდენად, მოსკოვში დანიშნულ ჩემპიონატს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: გამოევლინა საუკეთესო მოფა-რიკავები და საუკეთესო გუნდები, ამავე დროს გამოეკვეთა სანაკრებო შემადგენლობა.



ტრადიციისამებრ, შეჯიბრება რაპირისტებმა გახსნეს. ჯერ ჩატარდა ჯგუფური ტურნირი. აფციაურმა ყველა ბრძოლა მოიგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა, ისევე როგორც სხვა გამოცდილი რაპირისტები — რომან-კოვი, ლიკოვი, ლაპინი, ლოგვინი და სხვები. რომანკოვს არ დაუმალავს, რომ მოსკოვში რევანშის ასაღებად და ოქროს მედლის მოსაპოვებლად ჩავიდა: „წლეულს უკვე მოვიგე პარიზის პოპულარული ტურნირი — „რომელის თასი, „კარგად გამოვედი „მარტინის პრიზის“ გათამაშებაშიც, სადაც პრაქტიკულად, ყველა ჩემს მთავარ კონკურენტს შევცვდი, რომლებთანაც მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე მომინეებს ბრძოლა. ძალიან გამეხარდა რობერ ფერიკის პრიზის მონიჭება, რომლითაც აჯილდოებენ სამართლიან და უკომპრომისო მოფარიკავეებს. მოკლედ, სეზონი წარმატებით დავიწყე და ახლა ჩემი მთავარი მიზანია ვლადიმერ აფციაურთან რევანშის აღება ტალინის შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში მარცხისთვის. იმედი მაქვს, ამჯერად ოქროს მედალი მე დამრჩება.“

ცხადია, გამარჯვებაზე სხვებიც ოცნებობდნენ, თუმცა შეჯიბრების ახალმა სისტემამ, ე. ნ. ლაბირინთმა (ორი მარცხის შემდეგ სპორტსმენი გადის ბრძოლის ველიდან) რამდენიმე ფავორიტი და ნაკრების კანდიდატი ადრევე გამოთიშა ტურნირს. ხელმოცარულთა შორის აღმოჩნდა აფციაურიც. ის თავშივე დამარცხდა უკრაინელ ბრუსილოვსკისთან, მერე ზედიზედ რამდენიმე შევცვდრა მოიგო, მაგრამ როცა ფინალამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, სომეხ გეღამ ოპანესიანთან ვერაფერი გააწყო — 3:10. ფავორიტებიდან ფინალურ ეტაპში მხოლოდ ალექსანდრე რომანკოვი და ვიტალი ლოგვინი გავიდნენ. საბოლოოდ, ლოგვინმა გაიმარჯვა.

გუნდური ჩემპიონატი უფრო იღბლიანი გამოდგა: საქართველოს ნაკრებმა (ვლადიმერ აფციაური, ზურაბ აფციაური, გიორგი გელაშვილი, მალხაზ ნუცუბიძე, ოლეგ ჩერნიშოვი) მესამე ადგილისთვის მატჩში უკრაინის ძლიერ გუნდს აჯობა და ბრინჯაოს დაუფლა. ამას გარდა, ვლადიმერ აფციაურმა სომეხ ოპანესიანს რევანში აუდო, პირად ჩემპიონატში გამარჯვებულ ლოგვინს კი 5:0 მოუგო.



ვლადიმერ აფციაური:  
„ოლიმპიური წელი ერთობ  
დატვირთული გამოდგა.  
მნიშვნელების გული რომ  
მოგევო, რამდენიმე შე-  
ჯიბრებაში უნდა გამოსუ-  
ლიყავი, თანც — უმაღ-  
ლეს დონეზე. ჩემთვის  
განსაკუთრებით რთული  
იყო ნაკრძალი დაბრუნე-  
ბა. მამის გარდაცვალების  
გამო იძულებული გავხდი  
1987 წელი მთლიანად  
გამომეტოვებინა.“



## დონ-კიხოტის სამშობლოში

მართალია, აფციაურმა პირად ტურნირში კარგი შედეგი ვერ აჩვენა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მწვრთნელებმა საკავშირო ნაკრებში მაინც შეიყვანეს და როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდნენ, უნინარესად, ვლადიმერის ბრძოლისუნარიანობა და კრიტიკულ მომენტში მობილიზაციის უნარი გაითვალისწინეს. მასთან ერთად ბარსელონის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრნენ ალექსანდრე რომანკოვი, ბორის კორეცკი, ანვარ იბრაგიმოვი და ალექსანდრე კლიუშინი. როგორც ყოველთვის, საბჭოთა ნაკრებს ამჯერადაც მიზნად დაუსახეს უმაღლესი სინჯის მედლები, თუმცა უცხოელი სპეციალისტები ფავორიტებად მიიჩნევდნენ იტალიელ და დასავლეთგერმანელ რაპირისტებს. იტალიელებმა ხომ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა მოიგეს, გერმანელებმა კი — 1983 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი.

ესპანეთი პირველად მასპინძლობდა მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. საბჭოელთათვის სტარტი წარუმატებელი გამოდგა: აფციაური და იბრაგიმოვი პირველივე ეტაპზე გამოეთიშნენ პირადი მედლებისთვის ბრძოლას. შემდეგ მათი ბედი გაიზიარეს კორეცკიმ და კლიუშინმა, რომანკოვმა კი, მართალია, ფინალში გააღნია, მაგრამ იქ პირველივე შეხვედრაში დამარცხდა და საბოლოოდ მერვე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი გახდა იტალიელი ნუმა, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა თანაგუნდელ ჩიპრესას მოუგო. ჩემპიონატის სამი დღე ისე მიიღია, რომ ვერც ერთი საბჭოთა მოფარიკავე კვარცხლბეჭზე ვერ ავიდა. მეოთხე დღეს, როგორც იქნა, ნავსი გატყდა: რაპირისტ ვაჟთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა და ამ წარმატებაში ლომის წილი დაიდო ვლადიმერ აფციაურმა. მთავარი ამბები მას შემდეგ მოხდა, რაც მეოთხედფინალური წყვილები გაირკვა. ამ ეტაპზე სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდები დაწყვილდნენ. ყველასათვის მოულოდნელად, ნამდვილი ბრძოლა არ შედგა: საბჭოელებმა 9:2 გაიმარჯვეს და ნახევარფინალში დასავლეთ გერმანიის გუნდს დაუპირისპირდნენ. თავის მხრივ, გერმანელებმა უაღრესად

დაძაბულ შეხვედრაში კუბელებს აჯობეს. მატჩი ფრედ — 8:8 დამთავრდა და გერმანელებმა ჩხვლეტების უკეთესი შეფარდების წყალობით გააღწიეს ნახევარფინალში.

სსრკ-გფრ-ის რაპირისტთა ნახევარფინალი საბჭოელებმა პირწმინდად წააგეს — 2:9 და ბრინჯაოს მედლებისთვის უკვე აღმოსავლეთ გერმანელთა (გდრ) გუნდს შეხვდნენ. პირველი წრის შემდეგ საბჭოთა ნაკრები 3:1 დაწინაურდა, მეორე წრეში უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა — 6:2. მესამე წრეში, როცა ანგარიში იყო 7:2, გერმანელებმა ზედიზედ 2 ქულა აიღეს, მაგრამ ვლადიმერ აფციაურმა თავის გუნდს მერვე გამარჯვება მოუტანა და როგორც შემდგომ გაირკვა, ეს ქულა გადამწყვეტი აღმოჩნდა. მომდევნო 3 ბრძოლა გერმანელებმა მოიგეს, სხვაობა მინი-მუმამდე შეამცირეს (8:7), თუმცა ამ დროისთვის საბჭოელებს ჩხვლეტებში იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდათ, რომ ბოლო შეხვედრამ აზრი დაკარგა. ასე აღმოჩნდა აფციაურის და მისი თანაგუნდელების მონაგარში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. ჩემპიონის ტიტული იტალიელებს ერგოთ, რომლებმაც ფინალში 9:6 დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები. სპეციალისტთა პროგნოზი გამართლდა: როგორც პირად, ასევე გუნდურ ტურნირებში იმ ქვეყნების რაპირისტები დომინირებდნენ, რომლებსაც არ ჩაუგდიათ წინა ოლიმპიური ციკლი. საბჭოთა კავშირისა და დანარჩენი სოციალისტური ქვეყნების მოფარიკავეებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაოს აღება მოახერხეს.

სპორტსმენის ცხოვრებაში, ადრე თუ გვიან, დგება ისეთი მომენტი, როცა გამარჯვებებს შედარებით ნარუმატებელი პერიოდი ენაცვლება. 1986-87 წლებში სწორედ ასეთი დრო დაუდგა ვლადიმერ აფციაურს. ამ პერიოდში მან აშკარად დათმო პოზიციები, თუმცა გულშემატკიცრებს ერთი-ორჯერ მაინც შეახსენა თავი. პირველად ეს მოხდა ევროპის საკლუბო თასის გათამაშებაზე, რომელიც, ტრადიციულად, პარიზში გაიმართა. ეს შეჯიბრება 1965 წლიდან ტარდება და, სხვათა შორის, პირველ სამ ტურ-



ნირში მოსკოველმა არმიელებმა იმარჯვეს, რომელთა რიგებში ვიქტორ უდანოვიჩიც გამოდიოდა. ამჯერად უდანოვიჩი „დინამოს“ საკავშირო ნაკრებს წვრთნიდა, იმ გუნდს, რომლის ერთ-ერთი ლიდერიც აფციაური იყო. დინამოელებმა პარიზში დამაჯერებლად ითარიკავეს, ფინალში 9:6 აჯობეს ტურნირის ფავორიტს — ადგილობრივ „რესინგს“ და ევროპის საკლუბო თასს დაეუფლნენ. აფციაური პირველი ქართველი მოფარიკავე შეიქნა, ვინც ევროპის ქვეყნების პრესტიული თასი მოიპოვა. იმავე წლის შემოდგომაზე ვლადიმერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საუკეთესოა დინამოელ რაპირისტთა შორის. მან ტალინში გამართულ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, მთავარ კონკურენტებთან — ანდრეი კლიუშინთან და ბორის ლაპიცკისთან ერთად, სხვა ძლიერ მეტოქეებსაც აჯობა და ოქროს მედალს დაეუფლა. სამწუხაროდ, ოჯახური პირობების გამო, აფციაური იძულებული გახდა გამოეტოვებინა მომდევნო სეზონის მთავარი შეჯიბრებები, მათ შორის — მსოფლიოს ჩემპიონატი. არადა, ამ ტურნირებს, საოლიმპიადო პერსპექტივის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

## პალატონის „ოქროს თევზი“

დადგა 1988 წელი. მოსკოვის ოლიმპიური თამაშების შემდეგ რვა წელი გავიდა, ქართულ სპორტში ახალი თაობა მოვიდა და ძველი გვარდიოდან, ვისაც ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდა, საბჭოთა ნაკრებში თითქმის აღარავინ დარჩა. ერთადერთი გამონაკლისი იყო მესატენდურე თამაზ იმნაიშვილი. სეულის ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე უკვე გამოიკვეთა მომავალ ოლიმპიულთა უმრავლესობის ვინაობა, თუმცა კანდიდატთა ერთი ნაწილის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. მათ შორის აღმოჩნდა ვლადიმერ აფციაურიც, რომელმაც წინა სეზონი, ფაქტობრივად, ჩააგდო და ამის გამო მისი საოლიმპიადო შანსები ერ-

თობ მოკრძალებული ჩანდა. მაგრამ აფციაური საბძოლველად ემზადებოდა და ეს კარგად გამოჩნდა ივლისში მოსკოვში გამართულ „დინამოს“ ღია საკავშირო პირველობაზე, რომელშიც უძლიერესები მონაწილეობდნენ. აქ ქართველი მოფარიკავე პირველ ადგილზე გავიდა და ერთი ნაბიჯი გადადგა სეულისკენ მიმავალ გზაზე.

ვლადიმერ აფციაური: „ოლიმპიური წელი ერთობ დატვირთული გამოდგა. მწვრთნელების გული რომ მოგევო, რამდენიმე შეჯიბრებაში უნდა გამოსულიყავი, თანაც — უმაღლეს დონეზე. ჩემთვის განსაკუთრებით რთული იყო ნაკრებში დაბრუნება. მამის გარდაცვალების გამო იძულებული გავხდი 1987 წელი მთლიანად გამომეტოვებინა. გამიცდა მსოფლიოს ჩემპიონატიც, არადა, საოლიმპიადო გუნდს სწორედ ოლიმპიადისწინა მსოფლიოს ჩემპიონატზე არჩევენ და ცდილობენ ხუთეული ბოლომდე შეინარჩუნონ. ამიტომაც, ობიექტურად, მცირე შანსი თუ მქონდა, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდი. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ნაკრების ხელმძღვანელობა შეიცვალა და მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის ვიტორ ჟდანოვიჩის ნაცვლად ალექსანდრე პერეკალსკი დააბრუნეს. სწორედ მისი წინამძღოლობით მოვიგეთ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი რომში. პერეკალსკი კარგად მიცნობდა, მაგარჯიშებდა, მენდობოდა და ჩემი რომაული თავ-გამოდებაც ახსოვდა, თუმცა მარტო ძველი დამსახურებით ნაკრებში ვერ მიმიწვევდა. არა მარტო სპორტსმენებს შორის, მწვრთნელებშიც სერიოზული კონკურენცია იყო. მიუხედავად რომში მოპოვებული წარმატებისა, პერეკალსკი მოხსნეს და ნაკრები ოლეგ ვიზგუნოვს ჩააბარეს. ამ ექსპერი-მენტისგან არაფერი გამოვიდა. მერე ვიქტორ ჟდანოვიჩი მოიყვანეს. ვერც მან გაამართლა და იძულებული გახდნენ ისევ გამოცდილი მწვრთნელი დაებრუნებინათ.

ჩემი მთავარი ამოცანა იყო დარჩენილ შეჯიბრებებში კონკურენტებზე უკეთესი შედეგი მეჩვენებინა, ამისთვის კი ბევრი უნდა მევარჯიშა. გულახდილად ვიტყვი, რომ იმ პერიოდში სიგარეტს ვეწეოდი, არც ალკო-



ჰოლზე ვამბობდი უარს — ზოგჯერ საჭიროა განტვირთვისთვის — მაგრამ ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში, ბოლო ექვსი თვე, სიგარეტი მინი-მუმამდე შევამცირე, ხოლო სასმელს საერთოდ არ გავკარებივარ. მკაცრ რეჟიმში ვიყავით, დილის შვიდ საათზე ვდგებოდით, ვვარჯიშობდით, ვის-ვენებდით, მერე ისევ ვვარჯიშობდით და ასე გაუთავებლად... გვიან საღამოს ვიძინებდით.“

მოსკოვში მოგებული „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ, ზუსტად ერთ თვეში, ვლადიმერ აფციაურს კიდევ ერთი გამოცდა ელოდა.

სსრ კავშირის რაბირისტთა  
ნაკრები ლენინგრადის  
საერთაშორისო ტურნირზე.  
ზის მარცხნიდან პირველი  
— ვლადიმერ აფციაური.  
1986 წელი

ტალინში დაიწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც ოლიმ-პიური ნაკრების ყველა კანდიდატი ჩაება. ამ შეჯიბრების წინ ქართულ პრე-საში გამოქვეყნდა საქართველოს იმ სპორტსმენების სია, რომლებსაც უკვე განაღდებული ჰქონდათ სეულის საგზური. ასეთი სულ 13 სპორტსმენი იყო, თუმცა ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ვლადიმერ გოგოლაძე (სპორტული ტანკარჯიში) და ვლადიმერ აფციაური... გობეჯიშვილმა ბოლო საკონტრო-ლო შეხვედრა მოუგო ასლან ხადარცევს და ოლიმპიელი გახდა. მერე აფცი-აურის ჯერიც დადგა. ტალინში მიმდინარე საკავშირო თასის ფინალში „დი-ნამოსა“ და არმიის სპორტული კლუბის გუნდები დაწყვილდნენ. სწორედ ამ გუნდებში გამოდიოდნენ ნაკრების უმთავრესი კანდიდატები, რომელთაგან მხოლოდ ერთს — ალექსანდრე რომანკოვს ჰქონდა თავი ქუდში. ფინალი არმიელებმა მოიგეს, ოლიმპიელთა რიგებს კი კიდევ ორი რაპირისტი შეე-მატა — ილგარ მამედოვი და ანვარ იბრაგიმოვი. დარჩენილ ორ ვაკანსიაზე პრეტენზიას რამდენიმე პრეტენდენტი აცხადებდა. ერთ საგზურს, სავარა-უდოდ, ბორის კორეცკი დაეუფლებოდა, მეორეს — ვლადიმერ აფციაური ან მოსკოველი დიმიტრი შევჩენკო. მწვრთნელებმა ასე გამოაცხადეს: ვინც ბუდაპეშტში, „პალატონის“ თასსზე უკეთეს შედეგს აჩვენებს, სეულში ის გაემგზავრება.

ბუდაპეშტში სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბა. აფციაურის მთავა-რი ამოცანა იყო, წინ არ გაეშვა თავისი სანაკრებო კონკურენტი დიმიტრი შევჩენკო. ასეც მოხდა: საბოლოოდ, აფციაურმა მეორე ადგილი დაიკავა (ჩემპიონი გახდა იტალიელი ალპინის), შევჩენკომ — მეოთხე, თანაც მოს-კოველს უშუალო ბრძოლაც მოუგო — 10:5. თითქოს ყველაფერი გაირკვა, მაგრამ მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე ალექსანდრე პერეკალსკის ოპო-ნენტები გამოუჩნდნენ, თან საეჭვოდ იყითხეს: რაშია საქმე, აფციაურის კანდიდატურას ასე თავგამოდებით რატომ იცავო. ბოლოს პერეკალსკიმ მაინც თავისი გაიტანა, ოლონდ ეგ არის, ოლიმპიადის პირად ტურნირში ქართველის დაყენება ვერ გარისკა.



ვლადიმერ აფციაური: „ოლიმპიურ წელს ისეთი დაძაბული გრაფიკი მქონდა, რომ თბილისში ჩამოსვლას იშვიათად თუ ვახერხებდი. შეკრებებს შეჯიბრებები ცვლიდა, ქვეყნიდან ქვეყანაში, ერთი ქალაქიდან მეორეში მოგზაურობა და ისევ შეჯიბრება. ხეირიანად არც დამისვენია, მაგრამ როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდებოდა, სათევზაოდ გავრბოდი. დასაკეცი ანკესი თავისუფლად ეტევა მოფარიკავის ჩანთაში. ძალიან მიყვარს თევზაობა — განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. უნგრეთში, ბალატონზეც ვითევზავე, „ოქროს თევზი“ კი უშუალოდ საფარიკაო ბილიკზე დავიჭირე — შევჩენკოს გავასწარი. ახლა სიტყვა მწვრთნელებზე იყო. დანაპირებს თუ შეასრულებდნენ, ოლიმპიადაზე მე გავემგზავრებოდი. იმედი მქონდა, რომ ჩემი ამბავი დადებითად გადაწყდებოდა, მაგრამ მაინც ბევრი ვინერვიულე. თითოეული მწვრთნელი ცდილობს თავისი მოწაფე მოახვედროს ნაკრებში და ამაში გასაკვირი არაფერია. რომანკოვის მწვრთნელს ერნესტ ასიევსკის ორი მოფარიკავე ყოველთვის ჰყავდა გუნდში. ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი მარკ მიდლერი. სწორედ მიდლერი ავარჯიშებდა ჩემს კონკურენტს — დიმიტრი შევჩენკოს. მე პერეკალსკის იმედად ვიყავი.

უნგრეთიდან რომ ჩამოვედით, უმალ ალუშტაში გავემგზავრეთ დასკვნით საწვრთნელ შეკრებაზე. ოლიმპიადამდე ორი კვირა რჩებოდა, მაგრამ ისევ არაფერი ვიცოდით. ბოლოს, როგორც იქნა, შეიკრიბა მწვრთნელთა საბჭო და გამოაცხადეს ოლიმპიური გუნდის საბოლოო შემადგენლობა. როცა მითხვეს, უკვე ნაკრებში ხარო, რა თქმა უნდა, გამეხარდა, მაგრამ დიდად არ გამომიხატავს — დავავლე ანკესს ხელი და სათევზაოდ წავედი. მერე პერეკალსკის ხმები დაუყარეს, თავისი საქმე გაიკეთა, აფციაურის ოლიმპიური პრემია უკვე ჯიბებში უდევსო... გუნდში კი დამაყენეს, მაგრამ პირად ტურნირში გამოსვლის უფლება არ მომცეს. პერეკალსკიმ ნინასწარ ამიხსნა ყველაფერი და მეც იგივეს ვფიქრობდი. არ მინდოდა, მწვრთნელი უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა.



ირინე აფციაური (მეუღლე):

„სეულში ქართველების  
გამოსვლა კარგად მახ-  
სოვს.ჩვენები ჩემპიონები  
რომ ხდებოდნენ, სიხა-  
რულის ცრემლებს ვერ  
ვიყავებდი. რა თქმა უნდა,  
განსაკუთრებული გულის-

ფანცქალით ველოდი ინ-  
ფორმაციას მოფრინებეთა  
შეჯიბრებიდნ, მაგრმ ისე  
მოხდა, რომ მათი ჩემპიო-  
ნობის ამბავი მეზობლისგან  
გავიგე. თურმე, რადიოში  
მოუსმენია, საღამოს სა-  
ტელევიზიო პროგრამა

„ვრემააში“ გამოაცხადეს  
ეს ამბავი, ჩემი მეუღლეც  
ახსენეს. ავტირდი... ახთაც  
ვლელავ, რომ მახსენდება.  
ბედნიერების ის წუთები

არასოდეს დამავიწყდება.

თავადაც მოფარიკავე  
ვიყავი, საქართველოს  
ნაკრების წევრი.“



ირინე, ნათია და  
ვლადიმერ აცციაურები

სპორტი სპორტია, გარანტირებული არავინ არ არის, შეჯიბრების დროს ყველაფერი ხდება და ფეხი რომ დამცდენოდა, მერე ჯოხს პერეკალსკიზე გადატეხავდნენ.“

## მესტარტე

სეულმა XXIV ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება 1981 წელს მოიპოვა. ეს ამბავი გადაწყდა ბადენ-ბადენში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, რომლებმაც სამხრეთ კორეულ სეულსა და იაპონურ ნაგოიას შორის უპირატესობა სეულს მიანიჭა. იქ საასპარეზოდ ჩავიდნენ 159 ქვეყნის ათლეტები. მონრეალის 1976 წლის თამაშების შემდეგ გახლეჩილი ოლიმპიური სამყარო ისევ გაერთიანდა, თუმცა პრობლემები ნაწილობრივ მაინც დარჩა. ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხა-

და ჩრდილოეთ კორეამ, მას მხარი აუბეს კუბამ და ეთიოპიამ. სამხრეთკორეული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდების გამო, ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ საბჭოთა კავშირს და მის სატელიტ ქვეყნებს, რომლებიც მოერიდნენ ოლიმპიური თამაშების ბოიკოტს და მიუხედავად დიპლომატიური ურთიერთობის არქონისა, მაინც გააგზავნეს სპორტული დელეგაციები სეულში.

ვლადიმერ აფციაური: „სეულში თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავედით. ცხადია, დელეგაციაში უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებიც იყვნენ, ოლონდ ექიმებად თუ მასაუისტებად „გადაცმულები.“ გვაფრთხილებდნენ, რომ ოლიმპიური სოფლიდან ქალაქში არ გავსულიყავით. ბოინგის ჩამოგდების შემდეგ, საბჭოელების მიმართ კორეელთა დამოკიდებულება მართლაც დაძაბული იყო და ჩვენც ვცდილობდით, იქაურებს მოვრიდებოდით. ყოველ შემთხვევაში, ქალაქში საბჭოთა ფორმას არ ვიცვამდით. მასპინძელთა „კეთილგანწყობას“ დარბაზში, შეჯიბრების დროსაც ვგრძნობდით.

რაპირისტთა ტურნირის ფავორიტებად სოცბანაკის ქვეყნები ითვლებოდნენ. უნგრელებს ახალგაზრდული, მაგრამ ამბიციური გუნდი ჰყავდათ, ტრადიციულად ძლიერები იყვნენ პოლონელები, ბოლო წლებში სერიოზულად მომძლავრდა დემოკრატიული გერმანიის ნაკრები. ცხადია, სამედლოდ ემზადებოდნენ იტალიელები და დასავლეთ გერმანელებიც. პირად ტურნირში იტალიელმა ჩერიონიმ გაიმარჯვა, ვერცხლის მედალი გედეერელმა ვაგნერმა აიღო, ბრინჯაო კი რომანკოვს ერგო. სხვათა შორის, რომანკოვისთვის ეს მესამე ოლიმპიადა იყო, მაგრამ პირადში ჩემპიონი ვერცერთხელ ვერ გახდა.

საბჭოთა რაპირისტებმა ბოლო გუნდური ოქრო 1964 წელს მოიპოვეს. ამჯერად, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებს უფრო მოხმალავეების იმედი ჰქონდათ, ვიდრე — ჩვენი. ტურნირი კარგად დავიწყეთ და პირველ მეტოქეებს იოლად გავუმკლავდით. მერვედფინალიდან უკვის სერიოზული ბრძოლები გვქონდა. ამ ეტაპზე პოლონელებს შევხვდით და



9:6 ვაჯობეთ. ფავორიტები კი იყვნენ, მაგრამ ყველამ ძალიან მოვინდომეთ და ჩვენი გავიტანეთ. მორიგი მეტოქე ჩინეთის ნაკრები იყო. აზიელები ფარიკაობაში შედარებით სუსტები არიან და ამიტომაც დასვენება ვამჯობინე — მწვრთნელებს ვთხოვე, ენერგიას დავზოგავ და მომდევნო ეტაპისთვის მოვემზადები-მეთქი. მაგრამ კორეცკიმ პირველივე შეხვედრა წააგო. მას მუხლი ანუხებდა და მეორე შეხვედრაც დათმო. მწვრთნელმა მაშინვე ბრძოლაში ჩამრთო. ორჯერ გავედი ბილიკზე და ორი ქულაც ავიღე. მესამე არ დაგვჭირვებია — უკვე 9:6-ს ვიგებდით. ამ გამარჯვებით ოთხეულში შევედით, იქ კი უნგრეთის ნაკრებს დავუპირისპირდით.

როგორც სხვა ტურნირებზე, ოლიმპიადაზეც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ დაინტებს შეჯიბრებას, ვინ გახსნის ანგარიშს. მესტარტეს, ცხადია, მწვრთნელი ირჩევს და ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. პერეკალსკი ჭაბუკობიდან მიცნობდა და მეტნილად მე მენდობოდა. სეულშიც ასე იყო — პირველ ნომრად მე გავდიოდი და უნგრელებამდე ყველა ბრძოლა მოვიგე. მწვრთნელი ცდილობდა როგორლაც ექსტრემალურ სიტუაციაში ჩავეყენებინე, რადგანაც ამ დროს ბოლომდე ვიხარჯებოდი, სხვა ენერგიით ვიბრძოდი. ნახევარფინალი ჩემი და სელეიის შეხვედრით გაიხსნა. უნგრელებთან 1987 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი წავაგეთ და რევანში გვქონდა ასალები. სელეიის 5:1 მოვუგე, მერე კი სეკელეშიც მივაყოლე — 5:0. მაგრამ ფარიკაობა არ წაუვიდა ჩვენი გუნდის კაპიტანს, ალექსანდრე რომანკოვს. მან ზუსტად იგივე ანგარიშებით დათმო ორივე შეხვედრა. მერე მეც წავაგე ერთი ბრძოლა, ერშიკთან — 4:5. მას ყოველთვის ვუგებდი, მაგრამ ბოლო ორი წელი ტურნირებში არ გამოსულა. როგორც ჩანს, ოლიმპიადისთვის საგანგებოდ მოემზადა და ჩემმა „საფირმო“ ილეთებმა ამჯერად არ გაჭრა. სეულში სულ ცხრაჯერ გავედი ბილიკზე და ეს ერთადერთი ბრძოლა წავაგე. ამიტომაც დღემდე მწარედ მახსოვეს. მოკლედ, ვითარება უკიდურესად დაიძაბა, უნგრელები 8:6 დაწინაურდნენ. დარჩა ორი შეხვედრა. ჩვენგან მე და ანვარ იბრაგიმოვი უნდა გავსულიყა-



სსრ კავშირის  
მოუფარიყენეთა ნაკრები.  
ცენტრში დგას  
ელადიმერ აფციაური

ვით, ორივეს უნდა მოგვევო, თანაც ჯამში ექვს ჩევლეტაზე მეტი არ უნდა მიგვეღო. ჩემი ბოლო მეტოქე იყო გატაი. ამოსუნთქვის საშუალება არ მივეცი, 5:0 მოვუგე. გაიმარჯვა იბრაგიმოვმაც (5:3) და გუნდური ანგარიშიც გათანაბრდა — 8:8. ჩევლეტების უკეთესი შეფარდებით ფინალში ჩვენ გავედით. ეს იყო ყველაზე რთული მატჩი ამ ოლიმპიადაზე. წარსულს თუ გადავხედავ, მახსენდება 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გერმანელებთან, სადაც ასეთივე უინით ვიბრძოდი. ფინალში ჩვენი მეტოქე ამჯერადაც გერმანის გუნდი იყო. მასთან ბრძოლაში უნდა გარკვეულიყო ოლიმპიური ოქროს ბედი.



## ოქროს ფინალი

დასავლეთ გერმანელებს 1976 წელს, მონრეალში უკვე პქონდათ მოპოვებული ჩემპიონის ტიტული, საბჭოელებმა კი უფრო ადრე, 1960 და 1964 წლებში იმარჯვეს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

ვლადიმერ აფციაური: „უნგრელებთან შეხვედრამ ძალიან დაგვლალა. ფინალამდე რამდენიმე საათი რჩებოდა და დასასვენებლად ოლიმპიურ სოფელში მივბრუნდით. მთავარმა მწვრთნელმა ყველანი ერთად შეგვერიბა და გვითხრა: ბიჭებო, თქვენ უკვე შეასრულეთ პროგრამა-მაქსიმუმი, ფი-

**მარტინიძან —**  
ალექსანდრ ძეგალტოვსკი,  
ბაზუს მათითაიშვილი,  
ვლადიმერ აფციაური  
და სერგეი ლაპიცკი

ნალში ხართ და ვერცხლის მედლებს ვერავინ წაგართმევთ. მოკლედ, საქმე გაკეთებული გაქვთ, მაგრამ თუ გინდათ ოლიმპიური ჩემპიონები გახდეთ და ასე შევიდეთ ისტორიაში, აგერ თქვენი ალესილი იარაღი და აგერ მეტოქე. დაამტკიცეთ, რომ ოქროს მედლების ღირსნი ხართ! მწვრთნელის ამ სიტყვებმა დადებითად იმოქმედა ჩევნზე — დაძაბულობა მოგვეხსნა. დავსხედით მოფარიკავები, გავაანალიზეთ სიტუაცია — ვინ როგორ ფორმაში იყო, რა შანსები ჰქონდა — და თავადვე გავინაწილეთ ფუნქციები. იმის მიუხედავად, რომ გუნდის კაპიტანი რომანკოვი უნგრელებთან სუსტად გამოიყურებოდა, მაინც დარჩა ძირითად ოთხეულში. გადაწყდა — სათა-დარიგო იქნებოდა ბორის კორეცკი, ხოლო ფინალს, ტრადიციისამებრ, მე გავხსნიდი.

ფინალი გვიან საღამოს დაიწყო. ოლიმპიური პარკის მთავარ საფარიკაო ბილიკზე მეტოქე გუნდების წევრები ჩაამწკვრივეს და სათითაოდ წარუდგინეს მაყურებელს. ვლადიმერ აფციაური ხალისიანად მიესალმა დარბაზს, თუმცა სახეზე ეტყობოდა ბრძოლის უინი და სრული მობილიზება. „საომარი“ მზადყოფნა იყითხებოდა გერმანელთა სახეებზეც. მათ რიგებში გამოდიოდნენ ულრის შრეკი, მატიას გეი, ტორსტენ ვაიდნერი, მატიას ბერი და ტომას ენდრესი. ენდრესის გარდა, ყველანი 1987 წლის მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ, ახლა კი ოლიმპიურ ოქრომდე ნაბიჯილა რჩებოდათ.

ბრძოლაში პირველები ჩაებნენ აფციაური და შრეკი. დასაწყისში ორივე ფრთხილობდა, მერე კი გერმანელი ინიციატივის ხელში აღებას შეეცადა, სწრაფად შეუტია, მაგრამ წამში საპასუხო შეტევა და ჩხვლეტა მიიღო. ამას მოჰყვა კიდევ ერთი იერიში და აფციაური უფრო დაწინაურდა — 2:0. შრეკმა მალე აღადგინა წონასწორობა, მაგრამ მეტი ველარ შეძლო. 5:2 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა აფციაურმა და თავის გუნდს პირველი ქულა მოუტანა. მომდევნო შეხვედრაში იბრაგიმოვმა ვაიდნერს აჯობა — 5:1, მერე კი რომანკოვი ბერთან დამარცხდა (3:5). ამას მოჰყვა მამედოვ-გეის დუელი და კიდევ ერთი ქულა საბჭოელთა ანგარიშზე. ჯერჯერობით ყვე-



ვლადიმერ აფაიაური:  
„ოლიმპიადაზე გამოჩევება ძალიან დიდი სიხარულია. მასსოებს, როცა მამედოვმა ბოლო ბრძოლა მოიგო, ყველანი მიღვარდით, ხელში ავიტაცეთ და რამდენიმეჯერ ავისროლეთ ჰაერში. ჩვენს ბეჭინიერებას საზღვარი არ ჰქონდა.“

ლაფერი რიგზე იყო, სამქულიანი უპირატესობა ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდა, თუმცა ყველა ხვდებოდა, რომ მთავარი ბრძოლები წინ იყო.

მეორე წრე აფციაურ-ვაიდნერის შეხვედრით გაიხსნა, რომლის შედეგ-საც ყველა თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ქარ-თველი გაიმარჯვებდა, შესაძლოა გერმანელები ფსიქოლოგიურად გატეხი-ლიყვნებ... თითქოს ინიციატივას აფციაური ფლობდა, მაგრამ ვაიდნერიც ტოლს არაფერში უდებდა. ვლადიმერის პირველ ჩსვლეტას მეტოქემ მაშინ-ვე უპასუხა. შემდეგ კვლავ აფციაური დანინაურდა და ვაიდნერმაც შეძლო ქულის აღება. ასე გავრძელდა შეხვედრის ბოლომდე: 3:2, 3:3, 4:3, 4:4. დად-გა კულმინაციური მომენტი. მეტოქები ფრთხილობენ, ყოველ მოძრაობას, თითოეულ ნაბიჯს აკვირდებიან. უცებ გერმანელი დაიძრა, თითქოს მიწვდა კიდეც მოწინააღმდეგეს, მაგრამ აფციაურმა წამის მესედით დაასწრო, თავისი საფირმო ილეთით კონტრშეტევაზე დაიჭირა და... 5:4 გაიმარჯვა. ნიღაბი რომ მოიხსნა, გახევებული სახე გამოუჩნდა, თვალები კი უბრწყი-ნავდა. მისი გუნდი უკვე 4:1 იგებდა.

ოლიმპიურ თამაშებს სხვა მასშტაბი და სხვა ფსიქოლოგიური დატვირ-თვა აქვს. აქ ყოველთვის უნდა ელოდო მოულოდნელობებს და თუ ფხიზ-ლად არ იქნები, შეიძლება თითქოს უკვე გარანტირებული გამარჯვება ხე-ლიდან გამოგეცალოს. გერმანელთა გაუტეხლობისა და ბრძოლისუნარია-ნობის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. კრიტიკულ მომენტში გერმანელმა რაპირისტებმა სწორედ ეს თვისებები გამოავლინეს, ზედიზედ 3 ბრძოლა მოიგეს და ანგარიში გაათანაბრეს — 4:4. შრეკმა რომანკოვს სძლია, გეიმ – იპრაგიმიოვს, ბერმა — მამედოვს.

ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები. მეტოქებს კიდევ ორი წრე უნდა ებრძოლათ. ჯერ კიდევ ფინალამდე, ოლიმპიურ სოფელში გადაწყდა, რომ გერმანელებთან პირველ და ბოლო შეხვედრას აფციაური ჩაატარებდა. არადა, როგორც შემდეგ გაირკვა, დასკვნითი ბრძოლა მას მატიას ბერთან უწევდა, სწორედ იმასთან, ვის რაპირასაც 1982 წლის რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვლადიმირ სმირნოვი ემსხვერპლა.




ვლადიმერ აფციაური: „ბერი ძალიან გამოცდილი მოფარიკავე იყო. მან მონრეალში გუნდური ოლიმპიური ოქრო მოიპოვა, მერე მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. ვიცოდი, რომ მასთან ბრძოლა ძალიან გამიჭირდებოდა, განსაკუთრებით — ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამიტომაც ამ შეხვედრას თავი ავარიდე და, ვფიქრობ, ეს სწორი ნაბიჯი იყო. ბერის არც მერე შეხვედრივარ საფარიკაო ბილიკზე, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ შევხვდი გერმანიაში. ფარიკაონის სკოლის დირექტორად მუშაობს. გულთბილად გადამეხვია და მომიკითხა.“

დავუბრუნდეთ ოლიმპიურ ფინალს. მესამე წრეში რომანკოვმა, რომ ცოცც იქნა, პირველი ქულა აიღო — ვაიდნერს აჯობა. მერე აფციაურმა შავი დღე აყარა მატიას გეის (5:1) და საბჭოთა ნაკრები ორი ქულით დაანინაურა — 6:4. ეს იყო აფციაურის ბოლო ბრძოლა სეულის ოლიმპიადაზე. მან ფინალში ყველაზე მეტი — სამი შეხვედრა მოიგო და ასპროცენტიანი შედეგით დაამთავრა ტურნირი. ფინალის დასკვნით ეტაპზე კარგად გამოვიდნენ აფციაურის თანაგუნდელებიც, საბოლოოდ 9:5 აჯობეს გერმანელებს და ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

ვლადიმერ აფციაური: „ოლიმპიადაზე გამარჯვება ძალიან დიდი სისარულია. მახსოვეს, როცა მამედოვმა ბოლო ბრძოლა მოიგო, ყველანი მივვარდით, ხელში ავიტაცეთ და რამდენიმეჯერ ავისროლეთ ჰაერში. ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და, ცხადია, დეტალები თანდათან იშლება მეხსიერებიდან.“

ოლიმპიურ სოფელში ერთად აღვნიშნეთ გამარჯვება. იქვე ბიჭებს გამოვუცხადე: ამ სეზონში ძალიან დავიღალე და გაისად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებზე არ გამოვალ, დავისვენებ, მაგრამ თუ დაგჭირდებით, თქვენს გვერდით მიგულეთ-მეტექი. ასეც მოვიქეცი. სეულიდან მოსკოვში რომ ჩავფრინდით, სასტუმროში მეუღლე დამხვდა, ირინე. არ ველოდი. თან გამიკვირდა, თან გამიხარდა. ისიც მოფარიკავე იყო, სკოლაშიც ერთად ვსწავლობდით.“

ირინე აფციაური: „სეულში ქართველების გამოსვლა კარგად მახსოვეს. ჩვენები ჩემპიონები რომ ხდებოდნენ, სიხარულის ცრემლებს ვერ



**მარქ მიდლერი:**

„საშუალო ტანის, ფიზიკურად ძლიერი აუციაური რეაქტიული სტილის მებრძოლია. მან ჩინებულად იასპარებს სეულის ოთხმადიდის გუნდურ ტურნირში. აუციაურის სტიქიაა დინამიკა და პრესინგი. ის თავის მოქმედებებს არ ადებს მრავალსკლიან კომბინაციებზე, მაგრამ მუდამ მოძრაობაში და შეტევაშია.“



ვიკავებდი. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული გულისფანცქალით ველოდი ინფორმაციას მოფარიკავეთა შეჯიბრებიდან, მაგრამ ისე მოხდა, რომ მათი ჩემპიონობის ამბავი მეზობლისგან გავიგე. თურმე, რადიოში მოუსმენია. საღამოს სატელევიზიო პროგრამა „ვრემიაში“ გამოაცხადეს ეს ამბავი, ჩემი მეუღლეც ახსენეს. ავტირდი... ახლაც ვღელავ, რომ მახსენდება. ბედნიერების ის წუთები არასოდეს დამავიწყდება. თავადაც მოფარიკავე ვიყავი, საქართველოს ნაკრების წევრი. კარგად ვიცი გამარჯვების ფასი. ეს მხოლოდ დიდი შრომით მოიპოვება. ვლადიმერს ძალიან უნდოდა ოლიმპური ჩემპიონობა და თავდადებით ვარჯიშობდა, სულ შეკრებებზე იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახი მთლიანად მას დააწვა, მაგრამ არ იმჩნევდა. მეც მიჭირდა, პატარა ქალიშვილი გვეზრდებოდა — ნათია. ყოველთვის გვესმოდა ერთმანეთის, ჩემებურად ვცდილობდი მიზნის მიღწევაში ხელი შემეწყო.

თბილისში დაბრუნებული ქართველი ოლიმპიელების პატივსაცემად ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სპორტულ-თეატრალიზებული წარმოდგენა გაიმართა, ოლიმპიურ ჩემპიონებს მიესალმნენ ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები. პრესაში გამოქვეყნდა არა-ერთი პუბლიკაცია, სადაც აღნერილი იყო ოლიმპიური ბატალიები, ჩვენი სპორტსმენების სპორტული გმირობის მაგალითები. ფარიკაობისადმი მიძღვნილი წერილების ავტორები ხაზს უსვამდნენ რაპირისტთა გუნდის წარმატებაში ვლადიმერ აფციაურის მიერ შეტანილ განსაკუთრებულ წვლილს. პროფესიონალის თვალით აფასებს აფციაურის ბრძოლის მანერას საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მარკ მიდღლერი: „ორი წლის წინ ვლადიმერ აფციაური ერთ-ერთი მწვრთნელის ხელში მოხვდა, რომელიც თავის დროზე ცნობილი მოფარიკავე იყო და ფილიგრანულ ტექნიკას ფლობდა. მან მოინდომა აფციაური თავის სტილზე გადაეყვანა, აიძულებდა შეესწავლა კლასიკური ტექნიკა, მრავალსვლიანი კომბინაციები. შედეგად, აფციაური დაიკარგა, ის აღარ იყო ძველებური აფციაური, თანაც ვერც მწვრთნელს დაემსგავსა. მწვრთნელებს ხშირად მოსდით ასეთი



ოლიმპიური ჩემპიონები —  
ლერი ხაბელოვი,  
ვლადიმერ აფციაური  
და დავით გოძევკიშვილი.  
სიღნეი, 2000 წელი

შეცდომები, რაც უფრო დაუინებით მოითხოვენ თავისას, მით უფრო უარეს შედეგს იღებენ... ამის გამო აფციაური ერთი პერიოდი როგორლაც გაქრა ჰორიზონტიდან. საშუალო ტანის, ფიზიკურად ძლიერი აფციაური რეაქტიული სტილის მებრძოლია. მან ჩინებულად იასპარეზა სეულის ოლიმპიადის გუნდურ ტურნირში. აფციაურის სტიქიაა დინამიკა და პრესინგი. ის თავის მოქმედებებს არ აგებს მრავალსვლიან კომბინაციებზე, მაგრამ მუდამ მოძრაობაში და შეტევაშია. თითქოს ისე ჩანს, რომ ის გაუფრთხილებლად იბრძვის, ამ დროს კი მეტოქებიც კარგავენ სიფხიზლეს. იქმნება საინტერესო სიტუაცია — აფციაურის ერთგვარი უკანმოუხდავი აქტიურობა, ასე ვთქვათ, დაპროგრამებულია, ამ დროს კი, როგორც საჭადრაკო ბლიცში, მეტოქებს იძულებითი და გარდუვალი შეცდომები მოსდით.“

## პოლო მაღალი

ოლიმპიური თამაშების შემდეგ, 1989 წელს, ვლადიმერ აფციაური, დაპირებისამებრ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებებში არ გამო-



ქუვეითის სპორტული  
დელეგაციის წევრები  
სიდნეის ოლიმპიადაზე.  
მარჯვნიდან პირველი —  
ვლადიმერ აფციაური,  
მესამე — ამირან ჭიჭაძე.  
2000 წელი

სულა (იმ წელს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ალექსანდრე პერეკალსკის ხელმძღვანელობით), თუმცა მოგვიანებით, იმავე წლის ერთ ტურნირში — სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა. ეს შეჯიბრება ტაშკენტში ჩატარდა. აფციაური ფინალში გავიდა. მასთან ერთად ფინალში მოხვდნენ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები — კიეველი სერგეი გოლუბიცკი, მოსკოველი დიმიტრი შევჩერია, ბაქოელი ბორის კორეცკი და უფელი ანვარ იბრაგიმოვი. აფციაურმა, მიუხედავად იმისა, რომ საშეჯიბრო პრატიკა აკლდა, ასეთ სოლიდურ გარემოცვაშიც შეძლო მესამე ადგილის დაკავება. ეს ტურნირი მისთვის ერთგვარი მოთელვა იყო ახალი სეზონის წინ.

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი საფრანგეთის ქალაქ ლიონში გაიმართა. ჩემპიონატის წინ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან კიდევ ერთხელ გადააყენეს ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ალექსანდრე პერეკალსკი, კაცი, რომლის ხელმძღვანელობითაც საბჭოთა რაპირისტებს ყველა უმაღლესი ტიტული ჰქონდათ მოპოვებული, მათ შორის — ბოლო ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლები. პერეკალსკის გადაყენების მიზეზი სპორტის ჩინოვნიკებს არ დაუსახელებიათ. ადგნენ და გაუშვეს. სანაკრებო შეკრებებზე პერეკალსკი პირადად ავარჯიშებდა აფციაურს, კარგად იცნობდა მის შესაძლებლობებს, ისიც კარგად იცოდა, სად და რა მომენტში ჩაერთო ბრძოლაში. აფციაურმა გაიხსენა ერთი ეპიზოდი, როცა სანაკრებო შეკრებაზე ჩასულ ვეტერან თბილისელ მოფარიკავეს, იურო ოსიპოვს, პატივისცემის წინად, პერეკალსკი რესტორანში მიუწვევია, იმას კი თავაზიანი უარი უთქვამს — აქ ამას სხვანაირად გაიგებენ და საქმეს გავათუჭებთო. სინამდვილეში, საქმე ლიონის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გაფუჭდა, როცა აფციაური და მისი თანაგუნდელები ასეთი წარმატებული მწვრთნელის გარეშე დარჩნენ...

ლიონში საასპარეზოდ შეიკრიბა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა — 47 ქვეყნის 650 სპორტსმენი. მძაფრ კონკურენციას ბევრმა ცნობილმა მოფარიკავემ ვერ გაუძლო. მათ შორის აღმოჩნდა აფციაურიც,



რომელიც მეთექვსმეტედფინალში გამოეთიშა ბრძოლას. დამამშვიდებელ ტურნირში მისი პედი გაიზიარა ალექსანდრე რომანკოვმაც. საბჭოელ-თაგან პირადი ტურნირის ფინალში მხოლოდ დიმიტრი შევჩენკო გავიდა, ჩემპიონი კი გახდა ფრანგი ფილიპ ომნესი, რომელსაც აფციაურმა 1982 წლის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალის გადამწყვეტ შეხვედრაში აჯობა.

ფრანგებს იმედი მიეცათ, რომ გუნდურ ტურნირსაც მოიგებდნენ. ასე-თივე ამბიციები ჰქონდათ იტალიის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის რაპირისტებს. საბჭოთა და იტალიის გუნდები ადრეულ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვეს აპენინელებმა — 8:7. მოგვიანებით ისინი ფინალშიც გავიდნენ, საბჭოელებს კი, უკეთეს შემთხვევაში, მესამე ადგილის დაკავების შანსი დარჩათ. გადამწყვეტი შეხვედრა მათ გფრ-ის ნაკრებს 9:4 მოუგეს და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. ეს მედალი ბოლო ჯილდო აღმოჩნდა ვლადიმერ აფციაურის სპორტულ კარიერაში.

## ნოსტალგია

ვლადიმერ აფციაური: „იმ პერიოდში ძალიან დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო. ჩვენი ფეხბურთელები გამოეყვნენ საკავშირო ფედერაციას და პირველი ეროვნული ჩემპიონატი ჩაატარეს, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე კი ქართველი სპორტსმენები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგრეთწოდებულ გაერთიანებულ გუნდში გამოვიდნენ. მოსკოვიდან მეც შემომთავაზეს ბარსელონაში გამოსვლა, მაგრამ უარი შევუთვალე. ორი წლის უვარჯიშებელი ვიყავი და კარგი შედეგის მიღწევა გამიჭირდებოდა. ამიტომაც ახალგაზრდებს დაუკუთმე გზა. მოკლედ, ნაადრევად მომიწია სარბიელიდან წასვლა. ალბათ, ხუთი-ექვსი წელი კიდევ შემეძლო მაღალ დონეზე ფარიკაობა, თუმცა ყველაფერი ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა. ფარიკაობა სპორტის სპეციფიკური სახეობაა.

ჩვენთან 37-38 წლის ვეტერანებსაც მოუგიათ მსოფლიოს ჩემპიონატები თუ ოლიმპიური თამაშები, მე კი 29 წლის ასაკში დავასრულე კარიერა, თუმცა ამის გაკეთება არავის დაუძალებია. მაშინ სხვა სიტუაცია იყო და ჩემს თავს უფლება ვერ მივეცი, მერე ვინმეს დაეყვედრებინა — საქართველოს ინტერესებზე წინ პირადი ინტერესები დააყენაო.

აქტიურ სპორტს რომ ჩამოვცილდი, როგორც სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრს, კაპიტნის წოდება მომცეს და აფხაზეთში საქმე რომ გართულდა, სოხუმში ავტომატით ხელში მომინია ჩასვლა. ადრე სპორტული იარაღით ჩავდიოდი აფხაზეთში, ეშერის ბაზაზე, ახლა კი... კიდევ კარგი, ბრძოლებში არ მიმიღია მონაწილეობა, თუმცა ბოლომდე იქ ვიყავი — საპატრულო ჯგუფის შემადგენლობაში სხვადასხვა ობიექტებს ვიცავდი.


აფხაზეთის დაკარგვა, სამოქალაქო ომი, ათასი უბედურება... აბა, მაშინ სპორტისთვის ვის ეცალა! იძულებული გავხდი ქუვეითში წავსულიყავი სამუშაოდ. არავისზე ნაწყენი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, ოჯახი ხომ უნდა მერჩინა, ორი შვილი მყავდა. საქართველოში ჩემი ადგილი ვერ დავინახე, ქუვეითში კი ნორმალურ პირობებს მთავაზობდნენ. იქ 1993 წლის 28 ოქტომბერს ჩავედი. თავიდან ძალიან გამიჭირდა, პირველი ხუთი წელი ნოსტალგიით ვიტანჯებოდი. მერე ნელ-ნელა შევეჩვიე. შენს მშობლიურ ქვეყანას რა დაგავიწყებს, უბრალოდ — საქმეში ჩაფლულს დროებით შვება გეძლევა, მერე კი გულის სიღრმეში ისევ ტკივილს გრძნობ. ამიტომაც გამოვუშვი შვილები საქართველოში, არ მინდა ისინიც ჩემს დღეში იყვნენ. სხვათა შორის, ამერიკიდანაც მქონდა მოწვევა. იქ ცნობილმა მოფარიკავებ ვლადიმირ ნაზლიმოვმა კლუბი გახსნა, ქართველ მწვრთნელებს ამუშავებს და მეც მეპატიურებოდა. უარი შევუთვალე — ამერიკიდან საქართველოში დაბრუნება უფრო გამიჭირდება-მეთქი. ჯერ კიდევ არ დამიკარგავს თბილისში დაბრუნების იმედი. არ მახსოვს შემთხვევა, თბილისიდან ქუვეითში წასვლისას, თვალზე ცრემლი არ მომდგომოდეს.

იქ თავდაპირველად ერთ-ერთ კლუბში ვმუშაობდი. შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ ურიგო მწვრთნელი არ ვიყავი, ქუვეითის ვაჟთა ეროვ-



ვლადიმერ აფციაური,  
მარქ რაენტა და  
დავით ტიშლერი

ნული ნაკრები ჩამაბარეს. ქუვეითში ყველაზე მეტად ფეხბურთი და ხელ-ბურთი უყვართ. მოფარიკავეებიც არ ვემდურით პირობებს. ფარიკაობა ძალზე შრომატევადი სპორტია და განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს. ვერ ვიტყვი, რომ ფარიკაობა ქუვეითელებს გენში აქვთ, მაგრამ კარგი პირობებისა და მეტნაკლები შრომის ხარჯზე გარკვეულ წარმატებას აღწევენ. 1998 წელს არაბეთის ქვეყნების ჩემპიონატი მოვიგეთ, ვიყავით აზის ჩემპიონატის პრიზიორები, ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულები. პანარაბულ თამაშებში ჩვენი მთავარი კონკურენტები მხოლოდ ეგვიპტელები არიან. პატარა ქუვეითი 60-მილიონიან ეგვიპტეს დიდ კონკურენციას უწევს. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეც მყავდა ერთი მოფარიკავე, რომელიც 24 საუკეთესოს შორის მოხვდა. ეს ქუვეითისთვის საკმაოდ დიდი წარმატება იყო. თუმცა მე სხვა რამეზე ვფიქრობდი: რატომ არ უნდა გამჭავდეს ოლიმპიადაზე ქართველი ბიჭები?



**ვლადიმერ და მარიამ  
აფციაურები**

ქუვეითი არაბული ქვეყანაა, მაგრამ კათოლიკური ეკლესიაც არსებობს, რომელიც გარკვეული დროით მართმადიდებელ მრევლსაც ეთმობა და ნათლობებიც ჩვენებური წესით ტარდება. სწორედ იქ მოვნათლე ჩემი მეგობრის, ამირან ჭიტაძის შვილი. მისი მეორე შვილის ნათლიაა კახი კახიაშვილი. ამირანი იქაურ ძალოსნებს ავარჯიშებს. ქუვეითში კიდევ რამდენიმე ქართველი მწვრთნელი მუშაობს: მოფარიკავები — გურამ კოსტავა, ჯემალ გომიაშვილი და ზურაბ აფციაური, ძალოსნები — გოგი თოდაძე და ელგუჯა დვალი. ყველანი ოჯახებით ვმეგობრობთ და ხშირად ერთად ვართ. მე სამი ქალიშვილი მყავს. შუათანა, თათია ჩემს კვალს მიჰყება — მოფარიკავეა. საკმაოდ მოძრავი, ფიზიკურად ძლიერი გოგოა. თავიდან კარატეში ვარჯიშობდა, შავი ქამარიც მიიღო, მაგრამ საბოლოოდ ფარიკაობა არჩია. ჯერ მე ვავარჯიშებდი, მერე თბილისში გამოვუშვი და ლუდვიგ ლალანიძე წვრთნიდა, მაგრამ რაკი საქართველოში რაპირაში კონკურენცია არ არის, ხმალში გადავიყვანე. ურიგო შედეგები არა აქვს — რამდენიმე ჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირებშიც დამაკ-




მაყოფილებლად გამოვიდა. სამწუხარო ის არის, რომ ჩვენთან ფარიკაობას ისეთი მხარდაჭერა არა აქვს, როგორსაც თავისი ტრადიციებით იმსახურებს. ერთი ხეირიანი საფარიკაო დარბაზი არ დარჩა.

ჩვენს სპორტსმენებს ხშირად ვხვდები სხვადასხვა შეჯიბრებებზე. ვცდილობ ჩემებურად გვერდში დავუდგე. საქართველოში ყოველ წელს ჩამოვდივარ. რამდენიმე წლის წინ, როცა თბილისში ვიყავი, საუბარი იყო უცხოეთში გადახვენილი ქართველი სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაბრუნებაზე. ახალი მთავრობის იმედი მეც მომეცა, ვიფიქრე, ამ ტალღაში იქნებ მეც მოვხვდე-მეთქი. შევხვდი კიდეც ქართული სპორტის მაღალჩინოსნებს. ოქროს მთები არ მომითხოვია. ცალ-ცალკე ყველა დამპირდა დახმარებას, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. ვნახოთ, რა იქნება მომავალში.“

## ვლადიმერ აფტიაური

დაიბადა 1962 წლის 4 თებერვალს მანგლისში. რაპირით მოფარიცავე. სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1988), მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ პირველობაში (1982), მეორე (1988) და სამგზის მესამე პრიზიორი (1982, 86, 90), ევროპის თასის მფლობელი გუნდურ ასპარეზობაში (1985), საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების ჩემპიონი პირად და გუნდურ პირველობაში (1984), უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1986), სსრკ ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში (1984). ქუვეითის ნაკრების (რაპირა) მთავარი მწვრთნელი (1998-2010). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვაჭტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.



### VLADIMER APTSIAURI

Fencer with foils, was born on February 4, 1962 in Manglisi. He is a champion of the Olympics in Seoul (1988) in a team event, world champion in a team event (1982), silver (1988) and three-time bronze (1982, 1986, 1990) medalist at the world championships. Aptsiauri is a European Cup winner in the team event (1985) and champion of international friendship sport games in individual and team contests (1984). He was silver medalist of the Students Game (1986) and the USSR champion in individual and team contests (1984). For 1998-2010 Aptsiauri was chief coach of Kuwait national team of fencers with foils. He was the USSR Honored Master of Sports. Aptsiauri was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class.